# საერთო გაზეთი

№25 (483) • 4 ივლისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


ვახტანგ ხარჩილავა

# ჟამი ცვლილებისა

**რა ეშველება ამ ქვეყანას**, სადაც ერთ კაცს რომ დანიშნავ თანამდებობაზე, ორი კაცი მეთვალყურედ უნდა მიუჩინო, რომ არ იქურდოს, არ იმამაძაღლოს, არ მოიპაროს, თუმცა არც ეს შველის საქმეს — დრო გადის, ის ერთი იმ ორ მოყურიადესთან საერთო ენას პოულობს და ახლა უკვე სამნი იპარავენ ერთად.

საყოველთაო-სახალხო უბედურებაა ის, რაც გვჭირს, ეროვნული, ზოგადნაციონალური ავადმყოფობა, რომლისგანაც ვერა და ვერ განვიკურნეთ.

მსოფლიოში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც ასეთი ენთუზიაზმით, ასეთი აზარტით და ხალისით ძარცვავდნენ მისი მოქალაქეები, როგორც ამას ქართველები აკეთებენ.

**ჩვენ კი დავმგარვართ და ბიძინა ივანიშვილისკენ ვიშვერთ ხელს — რატომ არ ასწორებს ამ ზნეგამრუდებულ, მამაძაღლობის და ოღრაშობის გზაზე შემდგარ ქვეყანასო.**

**ერთმა ბიძინა ივანიშვილმა რა ქნას, ერთმა კაცმა როგორ დაუმოკლოს საჯიბგიროდ გამზადებული ხელი და როგორ გამოუცვალოს საცუღლუტოდ მომართული ტვინი და გონება ათასებს და ასიათასებს?**

არა მარტო ილია ჭავჭავაძე, მე-19 საუკუნის მთელი ქართული მწერლობა იმის თავგამოდებულ ცდაში იყო, ადამიანი თავისი ქვეყნის პატრიოტად და ჭეშმარიტ მოქალაქედ აღზრდილიყო, ჩვენ კი იოლი გამოსავალი მოვძებნეთ — ავიღეთ და ილია მოვკალით, მოგვიანებით კი საერთოდ მოვკალით ქართული მწერლობა, რომ კიდევ ვიღაცას არ შევეწუხებინეთ ზედმეტად თავისი აღმზრდელობით-დიდაქტიკური შეგონებებით.

ეკლესიაა და, როგორც ირკვევა, თვითონ იქცა ბიზნესცენტრის მაგვარ რაღაც ორგანიზაციად, სადაც მილიონები ტრიალებს თურმე.

სკოლაა და იმ სკოლამ სხვას რა განათლება უნდა მისცეს, სადაც მასწავლებლები თვითონ ვერ აბარებენ გამოცდებს.

ოჯახია და მშობლები უცხოეთში არიან წასული სამუშაოდ, შინ მარტო დარჩენილი ბავშვები და ბებია-ბაბუები კი, ერთმანეთისგან ეპოქებით დაშორებულნი, ერთმანეთს ვერ უგებენ, ერთმანეთისა არ ესმით.

**არა ეკლესია, არა მწერლობა, არა სკოლა, არა ოჯახი** — აბა, სად უნდა აღიზარდოს და ვინ უნდა აღზარდოს ადამიანი თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ?

**არა ეკლესია, არა მწერლობა, არა სკოლა, არა ოჯახი**, სამაგიეროდ, ყოველივე ამას ჩანაცვლებული ინტერნეტი და ამ ინტერნეტის ჯუნგლებში „აღზრდილი“ თანამედროვე მაუგლები — ეს არის კაცობრიობის საბედისწერო მომავალი და, როგორც ჩანს, ამ მომავალს ვერც საქართველო ასცდება.

**სხვათა შორის, პოლიტიკაში შემოსვლის პირველ ხანებში ბიძინა ივანიშვილმა სცადა არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ სულიერ ფასეულობებზე წამოეწყო საუბარი და საზოგადოების ყურადღება იმაზე გაემახვილებინა, თუ როგორ უნდა აღიზარდოს ადამიანი სრულყოფილ ადამიანად, სრულყოფილ პიროვნებად, თუმცა მალევე გაირკვა, რომ საზოგადოებას ნაკლებად აინტერესებდა ეს თემები.**

საზოგადოებას დღესვე, ახლავე, დაუყოვნებლივ სურდა ყველანაირი სიკეთე მიეღო და თანაც ისე, რომ თავად დიდად არ გარჯილიყო.

**ჩვენ გვინდა, უკეთესად ვიცხოვროთ, მაგრამ არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ უკეთესები გავხდეთ.**

**ჩვენ გვინდა, ეს დუხჭირი რეალობა შევცვალოთ, მაგრამ არაფერს არ ვაკეთებთ იმისთვის, რომ თვითონ შევიცვალოთ.**

თუ უკეთესები არ გავხდით, თუ უკეთესობისკენ არ შევიცვლებით, ვერაფერს ვერ შევცვლით და ამ მოჯადოებული წრიდან ვერ გამოვალთ.

სახელმწიფოს ფუნქცია სულაც არ არის მხოლოდ ის, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი პური, რაც შეიძლება მეტი კარტოფილი და ლობიო მოიყვანოს.

სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს სახელმწიფოსთვის ყველაზე მთავარი „პროდუქტის“, მაღალი სულიერების და მაღალი კულტურის ადამიანის ჩამოყალიბებას.

თუ ეს არ გაკეთდება, პურიც შეიჭმება, კარტოფილიც და ლობიოც, მაგრამ ქვეყანა სახელმწიფოდ, ხალხი კი ერად ვერ შედგება.

**მინაწერი:** სასაცილოა და იმავე დროს უკიდურესად გამაღიზიანებელი, როცა „ნაცმოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ ფინანსურ დარღვევებსა და ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებებზე უკიჟინებს.

ცალკეული ფაქტები, ცხადია, დღესაც ხდება, მაგრამ ეს ფაქტები იმ გრანდიოზული მასშტაბების კორუფციასთან და ბანდიტიზმთან შედარებით, რასაც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა ადგილი, ზღვაში წვეთია.

ექსპერტების და ანალიტიკოსების დასკვნით, „ნაცმოძრაობამ“ ცხრა წლის განმავლობაში 16 მილიარდი „აითვისა“ და მიიტაცა.



ამას თუ მივუმატებთ შევარდნაძის პერიოდში მიტაცებულ მილიარდებს, ადვილი მისახვედრია, რა უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო „ქართულ ოცნებას“, რომელსაც, სახელმწიფოს ნაცვლად, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ნანგრევები დახვდა, კეთილდღეობის და ბედნიერების იმიტაციის შესაქმნელად ნანგრევებზე გადაფარებული ბრჭყვიალა და ჭყეტელა ფალასფულასით.

ჩემი აზრით, „ქართული ოცნების“ მიერ ბოლო დროს განხორციელებული, მე ვიტყოდი, რევოლუციური რეფორმები, ვგულისხმობ სამინისტროების შერწყმას და ე.წ. მცირე მთავრობის ჩამოყალიბებას, ბევრ სხვა სიკეთსთან ერთად, მკვეთრად შეამცირებს ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური ელიტისგან მომდინარე კორუფციული საფრთხეების რისკებს.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია განთლებისა და კულტურის სამინისტროს შერწყმა, რომელიც, ფაქტობრიოვად, ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების ახალ ფილოსოფიურ ხედვად, ახალ კონცეფციად მიმაჩნია.

ამის შესახებ უფრო ვრცლად საუბარს „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.

ვ.ხ.



## ვინ ამოზიდავს ზედაპირზე კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის „ბერმუდის სამკუთხედში“ ჩაძირულ ანაკლიის პორტს?

**სკანდალური ინტერვიუ ბატონ თეიმურაზ ქარჩავასთან, რომელიც გამაოგნებელ ისტორიას ჰყვება იმ მაქინაციების შესახებ, რის შედეგადაც სატენდერო კომისიამ უარი უთხრა 70 მილიარდი დოლარის ბრუნვის მქონე „პაუერ ჩაინას“ და არჩევანი სრულიად უსახო და უცნობ „კონტიზე“ გააკეთა**



## სოსო არჩვაძე: არ შეიძლება საქართველო მეგაერგნეთად ვაქციოთ

## ღია წერილი მკვდარ რასას

**„თეთრო მამაკაცო, შენ დამარცხებული სასაცილო მონა ხარ, რომელსაც მთელი მსოფლიო დასცინის“**

# არ შეიძლება საქართველო მეგაერგნეთად ვაქციოთ

გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო არჩვაძე:

**— ბატონო სოსო, არსებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა მთავრობა შეიწირა. რით ვერ მოიძებნა ოპტიმალური გამოსავალი, რათა ქართული ეკონომიკის განვითარების გზას მივაგნოთ?**

— იმის სათქმელად რომ მდგომარეობა უარესდება, ენა არ მომიბრუნდება, გარკვეული მიმართულებებით პროგრესის ნიშნები არის, თუმცა, მთავარი გამოწვევა რაზეც, ჯერჯერობით, ვერცერთმა ხელისუფლებამ ღირსეული პასუხი ვერ გასცა არის ის, რომ მაკროეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე ვერ აისახა. ზოგადად, ზრდა გვაქვს, მაგრამ ამის სარგებელს, ნაყოფს საზოგადოების დიდი ნაწილი საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ვერ გრძნობს.

ხელისუფლების მთავარი ამოცანა არის შეძლოს, მოახერხოს, რომ ეკონომიკური ზრდა როგორმე თითოეულ ოჯახზე დაიყვანოს. ზოგადად, ამას ეკონომიკური ტერმინით ინკლუზიური ეკონომიკა ჰქვია. ანუ კორელაცია, კავშირი ეკონომიკაზე 10%-ით მკვიდრდება, ასეთ შემთხვევაში, მოსახლეობის კეთილდღეობა 7–8%-ით მაინც უნდა იზრდებოდეს. თუმცა, სტატისტიკის მიხედვით, კვლევები ადასტურებენ, რომ იზრდება უთანაბრობა, სიღარიბე განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლად ჯგუფებში.



ახლა, ფაქტობრივად, ასიმეტრიული განვითარება გვაქვს, სადაც საზოგადოების ერთი ნაწილი უკეთესად ცხოვრობს, შეიძლება ეს მზარდი ნაწილია, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ნაწილი ამ თამაშს ისე უყურებს როგორც კინოფილმ „პირველ მერცხალში“ ჩვენი ფეხბურთელები ფოთიდან უყურებენ ინგლისელების თავურით თამაშს, მხოლოდ თვალყურის დევნებაში არიან, რეალურად კი, თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან.

**— ანუ, საზოგადოებაზე, ხალხის კეთილდღეობაზე მორგებული ეკონომიკა არ გვაქვს?**

— არის ასეთი გამოთქმა: ჯოჯოხეთამდე გზა კეთილი სურვილებით არის მოკირწყლულიო. ნებისმიერმა ხელისუფალმა სანამ თავის საქმიანობას დაიწყებს უნდა გაიცნობიეროს ჰიპოკრატეს პრინციპი, რაც მედიკოსებს აქვთ — არავნო. ანუ, სანამ ცოცხალ ორგანიზმს მკურნალობას დაუწყებ, მანამდე ეს სუბიექტი რომლის სამკურნალოდაც მოგიწვიეს, დაგიძახეს თუ დაგიქირავეს იმაზე უარეს მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენო, ვიდრე აქამდე იყო. ეს სლოგანი თითოეულ ხელისუფალს უნდა ჰქონდეს. თვითონ საქართველოს ეკონომიკა იმდენად ღია და გახსნილი სისტემაა — 140 ქვეყანასთან გვაქვს ეკონომიკური კავშირები, რომ აქ, მარტო საკუთარი ჭკუით, გონებით და თანმიმდევრული პოლიტიკით ყველაფერს ისე ვერ დაალაგებ როგორც გინდა. მაგრამ ჩვენი ამოცანაა გარე, ნეგატიური ფაქტორები ჩვენს საწინააღმდეგოდ კი არ გავაძლიეროთ, არამედ მათი ჩვენი ინტერესების შესაბამისად გამოყენება შევძლოთ. მაგალითად, საქართველოს აქვს კარგი გეოგრაფიულ-გეო-პოლიტიკური მდებარეობა, იგი არის გზაჯვარედინზე, რამაც შეიძლება სარგებელი მოუტანოს ეკონომიკას მომსახურების, ენერგეტიკული და ფინანსური ხაზით, რასაც მიზანსწრაფული მოქმედება სჭირდება, რათა ის პოტენციური კლიენტების, ადრესატების ერთობლივი მოქმედება ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოდ არ მოხდეს. ფრთხილი დამოკიდებულება გვმართებს იმისათვის, რომ ერთი მხრივ, ქვეყნის შიდა ეკონომიკური ველი ნეგატიური ფაქტორებისგან დავიცვათ, ხოლო მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ ვართ კუვეითი ან სხვა ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოს რომელიღაც ერთი ბუნებრივი ფაქტორისგან მიღებული რენტული შემოსავლით.

იმ პიკური მდგომარეობისთვის, რაც 1988 წელს გვქონდა, არ მიგვიღწევია. ვარდნა იმდენად მკვეთრი იყო, ზემოთ ასვლას წლები სჭირდება. ჩვენ, დაახლოებით, 35-40 წლით უკან გადავვარდით.

**— როდის უნდა შეიქმნას ქვეყანის ეკონომიკური განვითარების კონცეფცია?**

— განზრახულობა არის, მაგრამ ეს ზოგადი ცნებაა. ეს იგივეა გქონდეს სურვილი იყო ჯანმრთელი და მდიდარი. ვინ ამბობს ამაზე უარს, მაგრამ მისი მიღწევის გზებია მოსაძებნი, ხომ? გვინდა ვიყოთ ენერგეტიკული და ფინანსური ჰაბი. კი ბატონო, მაგრამ რა კეთდება საიმისოდ, რომ ამ მიმართულებით კაპიტალი შემოვიდეს, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, მომზადდეს კვალიფიციური კადრები, რათა ისინი ქვეყნიდან კი არ გარბოდნენ, არამედ ეს რესურსი ადგილზე გამოვიყენოთ?! — სამწუხაროდ არაფერი. შესაძლოა, მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ ვისაც ჩვენ ვეჯიბრებოდით ისინი ხომ არ გაჩერებულან ერთ ადგილზე, არამედ კვლავ წინ მიიწევენ. ამიტომ, 1988 წელს ჩვენ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების წევრი ქვეყანავიყავით და 32 ქვეყნის საშუალო დონის მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე წარდგენილი მშპ-თი, დაახლოებით, 40%-მდე იყო. 30 წლის შემდეგ კი, იგივე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ეს პროცენტი 12-ს შეადგენს. ანუ, პრობლემა უფრო მწვავედ დგას, საკუთარი გზა ვერ გვიპოვია.

**— როგორ გავარკვიოთ რამდენად სწორად ვითარდება ჩვენი ქვეყანა?**

— არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც გვიჩვენებს ქვეყანა სწორი გზით ვითარდება თუ მხოლოდ ციფრების მანიპულაციას აქვს ადგილი. მოდით, მოვახდინოთ შეფასება — საქართველოში უფრო მეტი ქართველი ბრუნდება თუ პირიქით, გადის. მეორე — ზოგადად, კმაყოფილი მოსახლეობა სჭარბობს თუ პირიქით, მესამე — ბოლო ექვსი თვის მანძილზე მოსახლეობის მდგომარეობა გაუარესდა, გაუმჯობესდა თუ იგივე დარჩა. ამ კრიტერიუმებით თუ ვისარგებლებთ, მაშინ ეს მაჩვენებლები გაცილებით სოლიდური, ობიექტური იქნება, ვიდრე სავალუტო ფონდის დეპეშით გამოგზავნილი შეფასება, თუ სტატისტიკის სამსახურის მიერ დადებული ციფრი მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით. ხელისუფლებას ირჩევს არა სავალუტო ფონდი ან რომელიმე საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური ორგანიზაცია, არამედ საზოგადოება, ხალხი. ნებისმიერ ხელისუფლება ხალხის წინაშეა ანგარიშვალდებული. ამიტომ, ხალხის აზრი განმსაზღვრელია. რაც არ უნდა კარგად წარმოვაჩინოთ საქმე, თუ საზოგადოება უკმაყოფილოა, ჩვენი შეფასება არაფერი იქნება.



რატომ გადიან ქვეყნიდან? — საბჭოთა კავშირის პირობებში ქართველთა 96% საქართველოში ცხოვრობდა, მხოლოდ 4% იყო გასული დანარჩენ 14 რესპუბლიკაში, რუსეთის ჩათვლით. დღეს, ბევრი ქართველი დამდუღრულივით გარბის საქართველოდან იმის გამო, რომ პერსპექტივა, ეკონომიკური ცოდნა-გამოცდილება არ აქვს. ერთ-ერთ პოლიტიკოსთან შეხვედრაზე ვიყავი, მან ტრაბახი დაიწყო: თუ ადრე, საქართველოდან ძიძები, მომვლელები გადიოდნენ, ახლა, ქვეყანას ინჟინრები, ინტელექტუალები ტოვებენ, რაც პროგრესზე მიუთითებსო. როგორ მიუთითებს ყოველივე პროგრესზე? პირიქით, საქმე უფრო მძიმედ არის, როდესაც მაღალი კვალიფიკაციის ადამიანი ქვეყანაში სათანადო სამსახურს, თავისი უნარის, ცოდნის გამოყენების არეალს ვერ პოულობს და იძულებულია მოღვაწეობა ქვეყნის გარეთ გააგრძელოს.

**— ბატონო სოსო, ახალმა პრემიერმა ახალი საკანონმდებლო ინიციატივები შემოიტანა, როგორ უყურებთ ამას ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით?**

— ფაქტობრივად, მიუხედავად იმისა, რომ ბახტაძე ფინანსთა მინისტრის რანგში შვიდი თვე იყო, მის მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო ინიციატივები და ვერბალური განცხადებები მხოლოდ ფინანსთა მინისტრის ფუნქციებში არ ეტეოდა. ბევრი პოლიტიკური განცხადება გაკეთდა. მან, გარკვეულწილად, გააკეთა განცხადებები საბანკო სექტორის მიმართ, თქვა, რომ მათი ქმედება გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს და ზოგად ეროვნულ სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ინტერესებს დამორჩილდეს.

ბახტაძე, ასევე, გამოვიდა ინიციატივით ბანკებს სესხის გაცემაზე გარკვეული შეზღუდვები დაუწესდეს. საქართველოში საშუალო საპროცენტო განაკვეთი შინამეურნეობათა სესხებზე ეს იქნება თუ არა იპოთეკით დატვირთული, დაახლოებით, 15%-ია, მაშინ როცა აშშ-ში ეს, დაახლოებით, 3,25%-ის ფარგლებში მერყეობს. დაახლოებით, 4–5ჯერ უფრო დაბალია საპროცენტო განაკვეთი, სესხის ღირებულება განვითარებულ ქვეყნებში, ვიდრე ჩვენთან. კიდევ უფრო დაბალია იაპონიაში —1,68%, ლუქსემბურგში —2%. ჩვენთან, ბანკები ამით დიდ შემოსავალს ღებულობენ. საბანკო სექტორის მიმართ სახელმწიფოს საშუალება

4 გვ. →



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# სად გარბიხართ ქართველებო?



**ვახტანგ ხარჩილავა:**

**ფინასიტყვაობის მაგიერ**

ამასწინათ გურიაში ვიყავით თანამშრომლის დედის ორმოცზე.

საოცარი სილამაზისაა გურია, მაგრამ ამ საოცარი სილამაზის მხარეში კიდევ უფრო საოცარი სილამაზისაა ჩოხატაური – გურიის მიკროშვეიცარია და ამ მიკროშვეიცარიაში ჩადგმული კიდევ ერთი საოცრება – სოფელი ხიდისთავი.

სასაფლაოზე გასვლის შემდეგ, წესისამებრ, სუფრა გაიშალა.

სუფრასთან ასამდე კაცი იჯდა – სულ ასაკოვანი ადამიანები.

– ახალგაზრდები რატომ არ ჩანან? – გავიკვირვეთ.

– ახალგაზრდები თხილის და ჩაის საკრეფად არიან თურქეთში გადასული, ზოგიც ევროპაშია, ზოგიც რუსეთში, ზოგი – ამერიკაში. მოხუცებილა დავრჩით, ნენა და ჩვენც მივდივართ ნელ-ნელა „საზღვარგარეთ“... ვის უნდა დარჩეს ეს ქვეყანა, არ ვიცი. – ასეთი იყო პასუხი ჩვენს კითხვაზე.



მხოლოდ გურიაში არ არის ასეთი მდგომარეობა – მთელ საქართველოში ასეა – ახალგაზრდები მასობრივად მიდიან ქვეყნიდან.

ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემები ვნახე ამასწინათ – 800 გამოკითხული ახალგაზრდიდან თითქმის ას პროცენტს საზღვარგარეთ სურს განათლების მიღება, ხოლო 80 პროცენტი უკან დაბრუნებას არ აპირებს.

მართლაც ვის ვუტოვებთ ამ ქვეყანას, განგების მიერ ბოძებულ სამოთხეს, რომელიც ვიღაც-ვიღაცებს რატომღაც ჯოჯოხეთად ეჩვენებათ და თავქუდმოგლეჯილი გარბიან აქედან.

რედაქციაში დაბრუნებული თორმეტი წლის წინათ გამოქვეყნებულ ერთ ჩემს წერილს გადავაწყდი, რომელშიც ზუსტად იმ უმტკივნეულეს თემაზეა ლაპარაკი, რომელზეც ახლა გესაუბრეთ.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ თორმეტი წლის განმავლობაში უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა და ქვეყნის დაცარიელების შემაძრწუნებელი პროცესი გრძელდება.

**სად გარბიხართ, ქართველებო?**

**კოდორის ხეობაში ჩატარებული „ძლევამოსილი“ სპეცოპერაციის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ ორი მონა გაათავისუფლა, სამაგიეროდ, ავსტრიის პოლიციამ 52 ქართველი დაიჭირა, რომლებიც საქართველოდან მონობას გაექცნენ, უფრო ზუსტად, მონობის საძიებლად გაიქცნენ, ოღონდ მაძღარი მონობის საძიებლად.**

**„აღსდექ, კრულვითა**
**დაღდასმულო,**
**ქვეყანავ, მშიერ მონების.**
**საბედისწერო ომში გვიწვევს**
**დღეს აღშფოთება გონების“.**

**როდინდელი ლექსია ეს და ახლა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში რამ გამახსნა?**

ის ორი მონა, კოდორის ხეობაში რომ აღმოაჩინეს, ლუკმაპურის შოვნის სურვილმა აიყვანა იქ, კოდორში.

კოდორი იყო მათი ავსტრიაც და ჰოლანდიაც – რა ექნათ, უფრო შორს ვერ წავიდნენ...

– ორი მონა გავათავისუფლეთ, ორი მონაო – აცმუკდნენ და აჭყლოპინდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და რაც კი ტელეკამერები იყო, ამ ისტორიული ფაქტის აღსაბეჭდად მიმართეს.

ამ ხელისუფლებას რომ ორი კაცის მონობა გაუკვირდება – ლამის მთელი საქართველო დაიმონეს და ორი მონა გინდ იქით იყოს, გინდ – აქეთ.

ათასობით და ათიათასობით ადამიანს რომ დაამშევ, მერე წყალწყალა სუპს რომ დაუდებ წინ და თანაც თავს იწონებ: ერთი მნახეთ, რა გულმოწყალე, რა კეთილი ბატონი ვარ, როგორ ვზრუნავ ჩემს საცოდავ მონებზეო, – ეს რაღაა, თუ არა მონათმფლობელობის აგიტაცია-პროპაგანდა, ბატონყმობის რაღაც ახალი, ცინიზმამდე და მარაზმამდე აყვანილი ფორმა?

მშიერი მონების ქვეყანა და მშიერი მონების სევდიანი და სასოწარკვეთილი ქვეყნის ბედნიერი, სახეგაბადრული, მაძღარი და გაყეყილი ხელისუფლება, რომელიც გგონია, რომ სადაცაა დააბოყინებს და თავზე გადაგასხამს ჯერ კიდევ მოუნელებელ საქართველოს.

●

რამდენი ადამიანია წასული საქართველიდან მაძღარი მონობის საძიებლად? ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს (არ უნდათ, რომ არსებობდეს და იმიტომ), თუმცა ამბობენ, რომ სადღაც მილიონნახევრამდე, შეიძლება ასი ათასით მეტი, შეიძლება ასი ათასით ნაკლები.

კი მაგრამ, რამდენი ადამიანი ცხოვრობს სულ საქართველოში?

ამბობენ, ოთხმილიონნახევარი, შეიძლება ასი ათასით მეტი, შეიძლება ასი ათასით ნაკლები.

ამ ასი ათასს ისე იტყვიან, თითქოს საქმე ას ქათამს ან ას გოჭს ეხებოდეს.

ორმილიარდიანი ჩინეთი ახერხებს ზუსტად დათვალოს თავისი მოსახლეობა, ჩვენ ოთხი თუ ხუთი მილიონის დათვლა ვერ მოგვიხერხებია?

ვერ მოგვიხერხებია იმიტომ, რომ არც იმ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა და არც ამ ხელისუფლების ინტერესებში შედის ამის გაკეთება.

ქვეყანაში, სადაც არჩევნების დროს მკვდრები ცოცხლდებიან და ცოცხლები ქრებიან, ზუსტი სტატისტიკა ხელის შემშლელი ფაქტორია.

არეულ-დარეული, ერთმანეთში ალუფხული დავთრით ცდილობდნენ და ცდილობენ ღმერთის მოტყუებას საქართველოს ძველი და ახალი პატრონები და ბატონები.

შემაძრწუნებელი სანახავია გოგორიშვილების და მისთანების კალმით გადაღლაბნილი ეს დავთარი – გადაფხეკილი, გადაშლილი, ათჯერ ჩასწორებული და გადასწორებული დოკუმენტი, მონათა სია, ქართველთა გაბითურების ამაზრზენი მოწმობა.

– ზედმეტი ხომ არ მოგვდის, ძალიან ბევრს რომ არ ვხოცავთ, ძალიან ბევრს? – შეჰბედეს თურმე ლენინს, როდესაც რევოლუციის მსხვერპლთა რიცხვმა რამდენიმე მილიონს გადააჭარბა.

– რა მოხდა მერე, ნიკოლოზს თვლით კი არ ჩაუბარებია ჩემთვის რუსეთი, – მოსწრებულად მიუგო პროლეტარიატის ბელადმა.

რამდენი ვიყავით ქართველები ამ ოცდაათიოდე წლის წინათ და რამდენი ვართ ახლა?

ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ გაგვცემს – არც შევარდნაძეს გადმოუბარებია თვლით სამოქალაქო ომით გაპარტახებული საქართველო და არც სააკაშვილს მიუთვლია მისგან მისხალ-მისხალ, იმანაც ის გადააბარა სოროსს, რაც წინამორბედმა გადმოულოცა – დაუთვლელად, ბითუმად, „ოპტომ“.

ნახირს ითვლიან, ცხვრის ფარას ითვლიან და ისე აბარებენ მწყემსები ერთმანეთს.

ქართველებს არ ითვლიან – ჯოგად, ბრბოდ, მასად, „კუჩად“ გადმოლალავენ ხოლმე ახალი „მწყემსები“ თავიანთ საჩეხში.

რამდენი ვართ დღეს ქართველები?

რამდენი ვართ და, რამდენიც ვიყავით, იმას მინუს რუსუდან გუგუსიანი, მინუს ამირან რობაქიძე, მინუს სანდრო გირგვლიანი, მინუს ნავთლუღის ბაზრობასთან დახვრეტილი სამი ბიჭი, მინუს საკნებში ჩახოცილი შვიდი პატიმარი, მინუს ყველა ის ადამიანი, ვინც ამ ყოფას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა, მინუს ყველა, ვინც საზღვარგარეთ გაიქცა და იქ დალია სული მარტოობაში, სიღატაკეში, მონობაში, სამშობლოსა და ახლობლების ნატვრაში.

90-იან წლებამდე უკან თუ დავიხევთ და იქიდან დავიწყებთ ათვლას, მაშინ რამდენი ვართ და რამდენიც ვიყავით, იმას მინუს ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჟიული შარტავა, გია აბესაძე, ვოვა ვეკუა, ზურაბ ჭავჭავაძე, ირაკლი გოცირიძის ორი ვაჟი, გურამ შარაძე და მისი ვაჟები, მანანა გიგინეიშვილის ვაჟი, ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟი, ამირან კალაძე, გოჩა ესებუა, სოსო სიგუას დედა, რომელიც შვილის პოლიტიკური შეხედულებების გამო საკუთარ სახლში მხეცურად აწამეს და მოკლეს...

4 გვ. →





# არ შეიძლება საქართველო მეგაერგნეთად ვაქციოთ

2 გვ.

აქვს რეგულირება უფრო იოლად მოახდინოს, იგი განსაზღვრავს როგორი უნდა იყოს კაპიტალის სიდიდე და ა.შ. ამიტომ, პირველ რიგში, სახელმწიფომ იმ სფეროზე იზრუნა, რომელზეც უფრო მეტი ზემოქმედების საშუალება აქვს.

ახლა ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მცირე და საშუალო ბიზნესის გადასახადების ზღვარი 100 ათასიდან 500 ათას ლარამდე იწევა, ამით ბიზნესს სერიოზული შეღავათი ეძლევა.

**— ეს რეგულაციები მისასალმებელია, მაგრამ რამდენად საკმარისია. კიდევ რა უნდა გაკეთდეს?**

— გასაკეთებელი ბევრია: როდესაც ქვეყანაში სამეურნეო-სამეწარმეო ერთეულების რაოდენობა მხოლოდ 120 კაცზე სამჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში; როდესაც დარღვეულია პროპორცია დაქირავებით დასაქმებულსა და თვითდასაქმებულს შორის, ანუ ანაზღაურებითი სამუშაო ადგილების რაოდენობა ქვეყანაში მცირეა; როდესაც ბანკების მთლიან შემოსავლებში არაპროფილური საქმიანობიდან შემოსავლები თითქმის სჭარბობენ მათ ძირითად, პროფილური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს, ასეთ დროს რაიმე კმაყოფილებაზე საუბარი ჯერ ადრეა.

ჩვენ, ვცდილობთ, ის სტრუქტურა აღვადგინოთ, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში გვქონდა. ეს არის ფანტომური ტკივილების, ცნობიერების შედეგი, როცა მაგალითად, ადამიანს კიდური აღარ აქვს და წვივი სტკივა. ჩვენ, ფაქტობრივად, რაც მალე დავივიწყებთ იმ ძველ სტრუქტურას, რომელიც საქართველოს ჰქონდა, მით უკეთესი. უნდა შევძლოთ ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება, სადაც უფრო მაღალი წილი ადამიანურ კაპიტალს ექნება და შრომითი დანახარჯები შედარებით ნაკლები იქნება. ნაკლები იმედები უნდა დავამყაროთ აგრარულ სექტორზე იმ გაგებით როგორც ეს ადრე გვესმოდა. ძველი ტრადიციული ტექნოლოგიებით სასოფლო მეურნეობა შედეგს ვერ მოგვიტანს. მაშ, რა ვუყოთ სოფლად მაცხოვრებელ ადამიანებს? — პოლიტიკა რომ ადამიანები აგრარული სექტორისათვის ზედმეტი გავხადოთ, სწორი იქნება. მაგრამ პოლიტიკა რომ ეს ადამიანები გავათავისუფლოთ სოფლად ცხოვრებისაგან, სწორი არ იქნება. აქვე, ერთსაც გეტყვით: საქართველოს 90-იანი წლების დასაწყისისთვის 100-ზე მეტი დარგი ჰქონდა განვითარებული, მაგრამ როდესაც დადგა საკითხი მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გატანის თაობაზე, აღმოჩნდა, რომ ამ 106 დარგიდან რომელიც გვქონდა, ფაქტობრივად, არ აღმოგვაჩნდა დარგი, რომლითაც ბაზარს ჩვენს პირობებს ვუკარნახებდით. სხვა ქვეყნებს ზოგს გაზი აღმოაჩნდა, ზოგს ბამბა, ზოგს ფერადი ლითონები და ა.შ. ჩვენ ცოტ-ცოტა ყველაფერი გვქონდა, მაგრამ რომ განგვევითარებინა ჩვენი რესურსები ამას არ გაწვდებოდა. ამიტომ, უნდა შეგვერჩია რომელიმე დარგი და მის განვითარებას შეწყობოდა ხელი, ამ ძიებაში წლები გავიდა. უნდა ავარჩიოთ დარგი და მის საფუძველზე მოვახდინოთ ყველა დანარჩენის რესტრუქტურიზაცია და ეკონომიკის ასე განვითარება, წინააღმდეგ შემთხვევაში განწირული ვიქნებით მარადიული ჩამორჩენილობისთვის.

**— ბატონო სოსო, ხშირად ისმის, რომ მიბმული ვართ თურქეთის ეკონომიკას. რატომ არ შეიძლება ვთქვათ სხვა, თუნდაც ჩინურ მოდელს მივებათ?**

— დიახ, თურქეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული ვართ. თურქეთს ჩვენს საგარეო-სავაჭრო ბრუნვაში, დაახლოებით, 14–17% უჭირავს. საბჭოთა კავშირის პერიოდში, რუსეთზე მოდიოდა ჩვენი საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 60%. რუსეთისგან თავის დაღწევა შევძელით, მასზე ისე დამოკიდებულნი აღარ ვართ. ჩვენს ქვეყანაში ხდება თურქული საქონლის რეალიზაცია. საქართველოში იმდენ თურქულ საქონელს ვყიდულობთ, რითაც თურქეთში, დაახლოებით, 60 ათას სამუშაოს ვქმნით. რა გამოდის, ჩვენი თანამემამულენი უცხოეთში შოულობენ ფულს, რაც საქართველოში შემოდის და მერე, ამ ფულით თურქულ საქონელს ვყიდულობთ. საქართველო გამოდის როგორც მეგა-ერგნეთი, ფაქტობრივად, სხვაგან შექმნილი დოვლათის უტილიზაციის ადგილი, რაც ნაკლებად ემსახურება ჩვენი ეკონომიკის განვითარებას. ჩვენ უნდა შევძლოთ მაქსიმალურად მოვახდინოთ უცხოური იმპორტირებული საქონლის იმ საქონლით ჩანაცვლება, რომლის წარმოების კულტურა, ტრადიცია, პოტენციალი გაგვაჩნია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სად გარბიხართ ქართველებო?

3 გვ.

რამდენი ვართ და რამდენიც ვიყავით, იმას მინუს ძმათამკვლელ ომში დახოცილი გამსახურდიას ჯარისკაცები და კიტოვანის გვარდიელები, „მხედრიონელები“ და სახალხო მოლაშქრეები, ყველა ქართველი, ვინც ან ერთმანეთს, ან მტერს შეაკვდა, სოხუმთან თუ ტამიშთან, ცირკთან, დიდუბის მეტროსთან, კოდორის ხეობაში, წალენჯიხაში, ხობში, კახეთში, იმერეთში…

ხევარი საზღვარგარეთაა) და ამ სამი მილიონიდან შვიდასი ათასი თუ ლუმპენპროპლეტარია, მაშ ვინ ცხოვრობს უზრუნველად ამ „ბედნიერ“ საქართველოში?

არ დაგავიწყდეთ, რომ ღატაკებად მხოლოდ ისინი ითვლებიან, რომლებსაც სახლში ტელევიზორი და მაცივარიც კი არა აქვთ, ხოლო დანარჩენები – ტელევიზორმაცივრიანები, მაგრამ უმუშევრები, უსახსრონი, მშივრები – უზრუნველყოფილთა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

კვლავ მონის უღელში ყოფენ თავს, რადგან ქართველებისთვის საქართველოს გარეთ თავისუფლება მაინც ტყვეობაა, მაინც მონობაა.

ასეთ ვარსკვლავზეა ქართველი კაცი დაბადებული, ასეთი ზნე და ხასიათი აქვს – ახალ ნიადაგს ვერ ეგუება – „გადარგვას“ არ ექვემდებარება.

მეორე თვისებაც აქვს ქართველს – ხშირად მონობაში გადიდკაცებაზე უარს არ ამბობს და მერე მტრისას, ეს მონობაში გადიდკაცებული თავის სისხლსა და ხორცს რომ მოუტრიალდება, რათა პატრონს ერთგულება დაუმტკიცოს და თავი მოაწონოს.

ჩვენ გადიდკაცებული მონების მონები ვართ, ყმების ყმები.

ის რა კაცია, ვინც სხვა კაცის კაცის კაცია? იმას, როცა მოესურვებათ, მაშინ ამოშლიან კაცთა სათვალავიდან, როცა მოუნდებათ, ისევ ჩაწერენ…

მბრძანებლის, ზედამხედველის სტატუსით მოვლენილი სხვისი მონები სხვებს ვერ გაათავისუფლებენ.

თავისუფლება უმაღლესი, უზენაესი ღირებულებაა და მას დასა-



საქართველოს ბოლო ათწლეულების ცხოვრება მინუსების უსასრულო, გრძელზე გრძელი ბილიკია – ბილიკი არყოფნისკენ, ბილიკი საერთო აკლდამისკენ, ბილიკი უფსკრულისკენ.

– წარმატებული ოპერაცია იყო, ერთი გუგუსიანი დაიღუპა და ისიც შემთხვევით, – ამბობენ ხელისუფალნი.

იქ, სადაც ერთი ადამიანის სიცოცხლე არაფრად უღირთ, არაფრად უღირთ ათასების სიცოცხლე, ასიათასების სიცოცხლე.

ათასიც და ასი ათასიც ერთისგან შედგება და როცა ათასს და ასი ათასს ერთი აკლდება, იქ აუცილებლად ირღვევა ღვთის მიერ დაწესებული დიდი ჰარმონია.

– საქართველოს მინუს ეს ხელისუფლება უდრის გადარჩენას! – წავიკითხე ამასწინათ ერთ კედელზე მიწერილი.

ჩვეულებრივი კედელი იყო, აშკარად დილეტანტი კალატოზის მიერ აცაბაცად ამოყვანილი, ბათქაშჩამოცვენილი, გაქუცული.

მართლაც ერთი ჩვეულებრივი კედელი იყო, ოღონდ არაჩვეულებრივი შინაარსის…

●

– ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები არნახულად იზრდება, ამას ადასტურებს მსოფლიო ბანკის მონაცემებიო, – გადარეულია სიხარულისგან პრეზიდენტი სააკაშვილი.

მელამ თავისი კუდი მოიყვანა მოწმედო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა თუ აღმავალი გზით მიდის, ეს შვიდასი ათასი უპოვარი და ღატაკი საიდან, თქვე უღმერთოებო?

შვიდასი ათასი ლუმპენპროლეტარი, მათხოვრის დონეზე დასული, არასმქონე ქართველი.

კი მაგრამ, სულ სამი მილიონი ვართ დარჩენილი (მილიონნა-




თუ გაქცევის თავი გაქვს, ასეთი ქვეყნიდან უნდა გაიქცე, აბა, რა უნდა ქნა?

თუმცა სად გაიქცევი, ამათ ისეთი გრძელი საცეცები აქვთ, ავსტრალიის თუ ახალი ზელანდიის რომელიმე ფერმაში თხის წველის დროს ჩაგავლებენ.

●

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი“ – ესეც როდინდელი ლექსია, მაგრამ იმდენად თანამედროვეა, გეგონება, აგერ, ახლახან, ნოღაიდელის მთავრობის მორიგი სხდომის მოსმენის შემდეგ დაიწერა ცხელ გულზეო.

მაძღარ მონობას ეძებენ-მეთქი, ვთქვი ზემოთ. თუმცა ეს ფრაზა სხვარანირადაც შეიძლება ითქვას: – მონობას კი არა, თავისუფლებას ეძებენ საკუთარი სახლკარიდან აყრილი ქართველები, თუმცა თავისუფლების ძებნაში

რიგებლად და გასაცემად მონებს არავინ მიაშავებს.

●

სად გარბიხართ, ქართველებო?

დიდგორიდან არ გაქცეულხართ, ბასიანიდან არ გაქცეულხართ, დიდი თურქობის დროს არ გაქცეულხართ, არაბობის და მონღოლობის დროს არ გაქცეულხართ და რაღა „მოქკავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“ დროს შეგიჩნდათ დამღუპველი შიში?

სად გარბიხართ, ქართველებო?

სხვა საქართველო არსად არის, სხვა საქართველოს ვერსად ნახავთ.

აბა, სად გარბიხართ, სად მიეშურებით, სად მიიჩქარით?

უცხოელებმა თვითონ ზიდონ თავიანთი ღამის ჭურჭელი, თქვენ კი თქვენი ჯვარი ზიდეთ!!!

**„ასავალ-დასავალი“**
**2006. N33**

## მანანა ნიკოლაიშვილი:

# სამინისტროების შერწყმა მისასალმებელი საქმეა, მაგრამ...




### მამუკა ბახტაძეს გულწრფელად ვურჩევ ჯერ საკადრო რეფორმა ჩაატაროს, საბოტაჟნიკ „ნაციონალებთან“ ერთად არაპროფესიონალი და უსაქმური ხალხი სახლში გაუშვას და ის პროფესიონალები მოიყვანოს, ვინც სააკაშვილმა „ჩარეცხა“

**„ჩვენ ვგეგმავთ განათლებისა და კულტურისა და სპორტის სამინისტროების გაერთიანებას. ეს არის რეალურად სამი მიმართულება, რომელიც ერთმანეთს ავსებს“ – საქართველოს ახალი პრემიერ- მინისტრის მცირე მთავრობის კონცეფციამ პოლიტიკოსებში, ექსპერტებსა და პროფესიულ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ სამინისტროების რეორგანიზაცია ეფექტურად დაწარმატებულად განხორციელდეს და რატომაა აუცილებელი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, მანანა ნიკოლაიშვილი გვიამბობს:**

– სანამ მცირე მთავრობის კონცეფციაზე ვისაუბრებთ, შეგახსენებთ, რომ შარშან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო გაუქმდა. შედეგად სპორტის კომპონენტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შეუერთდა, ახალგაზრდობის საქმეთა მართვის კომპონენტი კი განათლების სამინისტროს შეერწყა. ამჯერად, ორი დიდი სამინისტროს გაერთიანებაზეა საუბარი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე ამ რეორგანიზაციის მომხრე ვარ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს მექანიკური შეერთება არ იქნება და ახალი პრემიერ მინისტრი ცვლილებებს სწორად განახორციელებს. ამ შემთხვევაში რეორგანიზაცია გამართლებული და წარმატებული იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სრული კატასტროფით დამთავრდება. დავიწყოთ იმით, რომ სამინისტროების სახელწოდებაში დაიკარგა მეცნიერება, ძეგლთა დაცვა და ახალგაზრდობის პოლიტიკა. კი ბატონო განათლება, სპორტი და კულტურა პრიორიტეტია, მაგრამ არც ზემოთ ხსენებული დარგებია მეორეხარისხოვანი და სამინისტროების დასახელებაში უნდა ჩანდეს. მეორე და მთავარი – მინისტრი ანუ გადაწყვეტილების მიმღები მის უწყებაში შემავალი ყველა დარგის მცოდნე ადამიანი უნდა იყოს და არა მოადგილეების იმედად მყოფი. კულტურა და განათლება მთელი ერის სახეს განსაზღვრავს და ამ სისტემაში უვიცი და არაპროფესიონალი მენეჯერის ან პოლიტიკოსის დანიშვნა არ შეიძლება. კეთილი ინებონ და მოძებნონ შესაბამისი კანდიდატი. სხვა გამოსავალი არ არის.

– **ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობის აბსოლუტური პრიორიტეტი განათლების სექტორის ფუნდამენტური რეფორმა და მასშტაბური ინვესტიციები უნდა იყოს, არადა „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე განათლების სისტემაში საკადრო ცვლილებების განხორციელებაზე უარი თქვა. საინტერესოა, როგორ შეძლებს ახალი პრემიერი განათლებაში ფუნდამენტური რეფორმის გატარებას დიმიტრი შაშკინისა და მისი წინამორბედების დანატოვარი კადრებით?**

– არა მხოლოდ განათლების, კულტურის სამინისტროც სავსეა ნაციონალების დატოვებული კადრებით, რომლებმაც ვერც წინა და ვერც ამჟამინდელი ხელისუფლების დროს გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობებს. ამიტომ ვამბობ, რომ მექანიკური ცვლილებები საკმარისი არაა. სამინისტო მთლიანად უნდა შეიცვალოს, ახალი კონკურსები უნდა ჩატარდეს და ახალი კადრები უნდა შეარჩიონ. პარლამენტში უნდა შემუშავდეს განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის ახალი კონცეფციები და რაც მთავარია, უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

– **სამინისტროების გაერთიანებასთან საპარლამენტო არჩევნები რა კავშირშია?**

– როცა ორ ამხელა სამინისტროს აერთიანებ, მაშინ კანონმდებლობიდან დაწყებული, ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ჩვენი მთავრობების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ პარლამენტი უსაქმურებითაა სავსე. თუ საკანონმდებლო ორგანო კარგ კანონს და ბიუჯეტს მიიღებს, კარგად დაგეგმავს და გააკონტროლებს, აღსრულებას რა უნდა? მთელ მსოფლიოში კანონშემოქმედებითი მუშაობა ყველაზე მძიმე და შრომატევადი საქმიანობა გახლავთ, საქართველოში კი პირიქითაა.. ყველა უვიცი, უქნარა, „ფულის ტომარა“ და ბანდიტი პარლამენტშია და ამის გამო, სახელმწიფო თავზე გვექცევა. საქართველოს პარლამენტი არის აბსოლუტურად უავტორიტეტო, არაპროფესიონალი, მილიონერების კლუბად ქცეული გაერთიანება და სხვა არაფერი. მე თუ მკითხავთ, საკანონმდებლო ორგანოში არც ერთი მილიონერი არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ ხალხს და რეალობას მოწყვეტილი არიან. ამ ადამიანებს საკუთარი ბიზნესის ლობირებისა და ფულის შოვნის გარდა არაფერი აინტერესებთ. ბუნებრივია, პარლამენტში მყოფი თითო-ოროლა პროფესიონალი „ამინდს“ ვერ ქმნის, ამიტომ უნდა ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და პარლამენტში უნდა შევიდნენ თვალსაჩინო ექსპერტები და სპეციალისტები. განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ახალი კანონებია მისაღები და რაც მთავარია, ამ სფეროებში სამართლიანობა უნდა აღდგეს. უნდა შემუშავდეს ეფექტური სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა და სტრატეგია, რასაც დღევანდელი არაპროფესიონალებით დაკომპლექტებული პარლამენტი ვერ გააკეთებს. მოგეხსენებათ, რომ „ქართული ოცნების“ რიგები და ზოგადად, პარლამენტი ნაციონალებითაა სავსე. ისიც გემახსოვრებათ, რომ მე და თქვენ **წლების განმავლობაში ვწერდით როგორ ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს განათლების, კულტურისა და სპორტის ობიექტების დატაცება. სწორედ ამ პერიოდში მიიტაცეს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი შენობები, მათ შორის სკოლები და ბაგა-ბაღები, მიწის ფართები, სტადიონები და ა.შ. ყოვლად წარმოუდგენელია პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თუ ამჟამინდელი წევრების ყოფნის პირობებში სამართლიანობის აღდგენა და მიტაცებული ქონების უკან დაბრუნება. არადა, ეს ქონება უნდა დაბრუნდეს!** მიტაცებული სპორტული და საგანმანათლებლო ობიექტები სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს, მუსიკალური სკოლები და მათი დაფინანსება უნდა აღდგეს და მუსიკა და სპორტი მასობრივი უნდა გახდეს. მაშინ ახალგაზრდებში ამდენი აგრესია აღარ იქნება და აღარც ამდენი ქუჩას და ნარკოტიკებს აყოლილი ბავშვი გვეყოლება.

– **მთავრობა ამბობს, რომ სამინისტროების გაერთიანების თვითმიზანს თანამშრომელთა გათავისუფლება არ წარმოადგენს და სამსახურებიდან თანამშრომელთა მასობრივ გათავისუფლებას არ უნდა ველოდოთ?**

– საზღვარგარეთ სამინისტროებში საკმაოდ მცირერიცხოვანი თანამშრომლები ჰყავთ, თუმცა საქმეს კარგად აკეთებენ. ამიტომ ვფიქრობ, „გაბერილი შტატების“ შემცირება უნდა მოხდეს. საერთოდ გასაუქმებელია სამინისტროების ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი და სხვა სტრუქტურები უნდა შეიქმნას. განათლების სამინისტროს შემთხვევაში, მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ანუ აკრედიტაცია და ავტორიზაცია უნდა დარჩეს და პარლამენტში გადავიდეს. გამოთავისუფლებული თანხები მოსწავლის ვაუჩერის მომატებაზე უნდა დაიხარჯოს. ვაუჩერი რომ მოიმატებს, მასწავლებლის ხელფასიც გაიზრდება და განათლების ხარისხიც მოიმატებს. **გაბერილ შტატებში და სამინისტროების სსიპებში მილიონები იხარჯება და ამ დროს მასწავლებელს 150 და 200 ლარიანი ხელფასი აქვს. როდის უნდა დამთავრდეს ეს მარაზმი?** მისცენ ეს ფული სკოლებს და უნივერსიტეტებს. ექსპერიმენტული დარგები რომ სულს ღაფავენ და უნივერსიტეტებს ცდების ჩატარების საშუალება არა აქვთ, რა სპეციალისტები უნდა გაზარდონ? გაზარდონ სტუდენტის საგრანტო დაფინანსება, რომ განათლების ხარისხი გაიზარდოს. აფრიკის ყველა სახელმწიფოსაც კი აქვს განათლების მართვის სტრუქტურები და ჩვენ ვართ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ასეთი სტრუქტურა არ გააჩნია. მამუკა ბახტაძეს გულწრფელად ვურჩევ ჯერ საკადრო რეფორმა ჩაატაროს, საბოტაჟნიკ „ნაციონალებთან“ ერთად არაპროფესიონალი და უსაქმური ხალხი სახლში გაუშვას და ის პროფესიონალები მოიყვანოს, ვინც სააკაშვილმა „ჩარეცხა“.



**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ქართული სოფლის ტრაგედია

## „რა ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაქაბუნდეს“



„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას, სათაურით „როდის დაინტერესდებიან სათანადო ორგანოები შპს „მექანიზატორში“ შექმნილი საგანგაშო მდგომარეობით“, შპს „აგრორემმანქანასერვისის“ დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მიწათმფლობელთა და მექანიზატორთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ექსპერტი ბატონი **გივი ქურდიანი** გამოეხმაურა და მრავალი საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა. ბატონი გივი მექანიზაციის დარგის სპეციალისტია, 60-იანი წლების პირველი ნახევარში ოსტატად დაიწყო მუშაობა დიღმის საცდელ-სარემონტო მექანიკურ ქარხანაში და ყველა თანამდებობრივი საფეხური გაიარა, სანამ ამ საწარმოს გენერალური დირექტორი გახდებოდა. სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პერიოდში ხსენებული ქარხანა შრომითმა კოლექტივმა შეისყიდა და მას შემდეგ აგრორემმანქანასერვისის“ სახელით ფუნქციონირებს. გთავაზობთ ინტერვიუს **გივი ქურდიანთან**, სადაც ის საუბრობს, თუ როგორ ნადგურდებოდა ათწლეულების მანძილზე ტრადიციული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგი, რასაც სოფლის მეურნეობა ჰქვია.



გივი ქურდიანი: საქართველოს სოფლის მეურნეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ჩვენი წინაპრების ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება და მესაქონლეობა წარმოადგენდა. იმდენ პროდუქციას ვაწარმოებდით, რომ ექსპორტზეც გაგვქონდა, ცნობილი ფაქტია, რომ გლეხობას ურმებით ჩაჰქონდა ფოთის პორტამდე ხორბალი, სიმინდი, სხვა პროდუქტები და იქ ახდენდა რეალიზაციას. ერთ მაგალითს გეტყვით, მე-19-საუკუნეში, სამურზაყანოდან (დღევანდელი გალის რაიონი) თურქეთში ყოველწლიურად ერთი მილიონი ფუთი სიმინდი გადიოდა. ბუნებრივია, დიდი ყურადღება ექცეოდა ვაზს, მზადდებოდა საუკეთესო ალკოჰოლური სასმელები, ამის ექსპორტირებაც ხდებოდა, რადგან დიდი მოთხოვნილება იყო მეზობელ ქვეყნებში. ჩვენთან მოწეული ყველა აგრარული პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა, ერთია, ჰაერი რომ არ არის დაბინძურებული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სარწყავად სუფთა, გამდინარე წყალი გამოიყენება. გეხსომებათ, როგორ იყო განვითარებული ჩაის წარმოება, ეს კულტურა მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან შემოვიდა საქართველოში, საბჭოთა მმართველობის დროს დარგის ინდუსტრიალიზაციამოხდა და გასული საუკუნის 70-იან წლებში, ჩაის პლანტაციების საერთო ფართობმა 67.000 ჰექტარს მიაღწია. აშენდა 150-ზე მეტი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, დასაქმდა უამრავი ადამიანი, ეს იყო ყველაზე შემოსავლიანი, რენტაბელური დარგი, რომელიც დღეს მთლიანად განადგურებულია. სამწუხაროდ, დღეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა თურქეთში დადის ჩაის საკრეფად, ოჯახი რომ არჩინოს. კომუნისტებმაგამოუყენებელი, ყამირი მიწებიც აითვისეს, მათ შორის, მთიანი ფერდობებიც, ასე რომ, თითქმის ყველა მიწის ფართობი მოსავლიანი გახდა. უამრავი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შემოდიოდა საქართველოში, აშენდა სხვადასხვა დანიშნულების გადამამუშავებელი საწარმოები, სოფლის მეურნეობის ტექნიკური მომსახურების ბაზები და ა.შ. 80-იანი წლებისთვის საქართველო 35.000 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ფლობდა, რომელსაც შვიდი სპეციალიზებული ქარხანა ემსახურებოდა, მათ შორის ჩვენი ქარხანა. მთელ საქართველოს ვემსახურებოდით, ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის გარდა, სათადარიგო ნაწილებსაც ვამზადებდით, რასაც რესპუბლიკის გარეთაც ვაგზავნიდით. დღეს იმ ტექნიკის 7% თუ იქნება დარჩენილი, დანარჩენი ჯართად გაიყიდა უცხოეთში. ამ 7%-დან, რაც დაახლოებით 8.500 ერთეულს შეადგენს, ნახევარი გამოუყენებელია, რადგან მოსახლეობას მისი დაქირავება ძვირი უჯდება. სოფლის მეურნეობის განვითარებაში მთავარი როლი მექანიზაციას ეკისრება, ჩვენ კი ეს დარგი ფაქტობრივად გავანადგურეთ. ერთსაც გეტყვით, 2000 წლიდან საქართველოში შემოსული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უმეტესი ნაწილი, სავარაუდოდ ექსპლუატაციისთვის გამოუყენებელია. ამის მიზეზი ის არის, რომ განაცხადებს, რა ტექნიკა გვჭირდება, არაკვალიფიციური სპეციალისტები წყვეტენ, თუმცა ამაზე უფრო კონკრეტულად მოგვიანებით ვისაუბრებ. ქვეყნის ნგრევა-გაჩანაგების პროცესი 1989 წლიდან დაიწყო, რამაც „პიკს“ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიაღწია. დამოუკიდებლობა კი მივიღეთ, რაც თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ მავნებლური პოლიტიკის გამო, კაპიტალისტურ წყობაზე გადასვლას უმძიმესი შედეგი მოყვა. მთლიანად მოიშალა მრეწველობა, როგორც ნედლეულის მწარმოებელი, ისე გადამამუშავებელი ქარხნების სახით, სოფლის მეურნეობამაც ადრინდელი ფუნქციების უდიდესი ნაწილი თითქმის მთლიანად დაკარგა. სახელმწიფო მასობრივმა უმუშევრობამ და ეკონომიკურმა სიდუხჭირემ მოიცვა, რის გამოც საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწა. 90-იანი წლების დასაწყისში გამეფებული ქაოსის დროს კრიმინალების ხელში აღმოჩნდა საწარმოებისა და ქარხნების მთელი ქონება, ჯართად გაიყიდა ძვირადღირებული მანქანა-დანადგარები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე უკვე გითხარით. ეს პროცესი „მშვიდობიან“ წლებშიც გაგრძელდა, ტექნიკური აღჭურვილობის განადგურება არ იკმარეს და ბოლოს ფაბრიკა-ქარხნებიც დაანგრიეს, ადგილზე იყიდებოდა სამშენებლო მასალად მიზერულ ფასში. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ეს ყველაფერი ქართველების ხელით ხდებოდა.

სასოფლო-სამეურნეოტექნიკის უქონლობის გამო, დაუმუშავებელი დარჩა ასეულათასობით ჰექტარი სახნავები (აგროსექტორში გამოყენებული მიწის 60%), ბაღ-ვენახები და სხვა სავარგულები. ბევრმა ვენახები და ხეხილიც კი აჩეხა. მეცხოველეობის ფერმები მთლიანად მოსპეს. ამიტომაცაა უვარგისი, გენომოდიფიცირებული აგრარული პროდუქტები უცხოეთიდან რომ შემოგვაქვს და ფაქტობრივად იმ ქვეყნების ეკონომიკას ვანვითარებთ. სოფლები დაიცალა, ხალხმა მასობრივად მიატოვა მამა-პაპისეული სახლკარი და ქალაქებს მიაშურა, სადაც დღემდე უმწეოების სტატუსით სარგებლობენ, სახელმწიფოსგან ელიან ყოველთვიურ მწირ დახმარებას, რაც არასწორია. ჩემი აზრით, ბევრმა მათგანმა დიდი დანაშაული ჩაიდინა სოფელი რომ მიატოვა, მათ შეეძლოთ ფიზიკური შრომით ადგილზე მიეღოთ იმდენი შემოსავალი, რომ ოჯახი ერჩინათ. ამ უბედურებას რუსეთთან გაუმართლებელი ომი დაემატა, რის შედეგადაც ტერიტორიების 20% დავკარგეთ. ნაციონალების უნიათო ხელისუფლებისა და მათი ბელადისვის თურმე ეს ტერიტორიები მხოლოდ ქვა-ღორღი და კლდეები ყოფილა. სააკაშვილისა და მისი გუნდის „საგმირო“ საქმეების შესახებ უამრავ ინფორმაციას მოგაწვდით, მაგრამ ჯერ იმაზე მინდა გესაუბროთ, როგორ აღმოფხვრეს ქვეყანაში კორუფცია, რითაც თავს იწონებენ. მათი „არაკორუმპირებულობა“ საკუთარ თავზე ვიწვნიე. 80-იანი წლების მეორე ნახევარში კოოპერატივების ჩამოყალიბება რომ დაიწყო, გაზეთ „პრავდაში“ წავიკითხე ინფორმაცია ამ საქმის ასე ვთქვათ, პიონერზე, მოსკოვის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი მძლავრ ქარხანაზე. დავინტერესდი, ჩავედი იმ ქარხანაში, შევხვდი მთავარ ეკონომისტს, ვთხოვე აეხსნათ, როგორ გადავიდნენ კოოპერატივის პრინციპზე. ქარხნის დირექტორსაც ვესაუბრე და ყველაფერი გავარკვიე. საქართველოში დაბრუნებისთანავე მოვახსენე სოფლის მეურნეობის მაშინდელ მინისტრს რასაც ვაპირებდი, დაინტერესდა ანალოგი თუ არსებობდა, დოკუმენტაცია გავაცანი, მოეწონა და მხარი დამიჭირა. მინისტრი საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარესაც ესაუბრა, კარგია თუ ანალოგი არსებობსო და ისიც დათანხმდა. მოვამზადე სათანადო მასალები და 1988 წელს კოოპერატივების სისტემაზე გადავედით, რამაც უფრო ეფექტური გახადა ჩვენი მუშაობა, რადგან მეტი თავისუფლება გვქონდა, ფონდებიც დაგვიტოვეს, ცენტრალიზებულადაც ვიღებდით, რაც გვჭირდებოდა. სხვათა შორის, კოოპერატივები ძირითადად 1995 წლის მერე ჩამოყალიბდა საქართველოში. სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვების წესით გასხვისება რომ დაიწყო, ტენდერში ჩვენმა კოლექტივმა გაიმარჯვა და 1996 წელს შევიძინეთ ეს ქარხანა ათწლიანი იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით. 2005 წელს, ანუ ერთი წლით ადრე დავამთავრეთ სახელმწიფოსთან ანგარიშსწორება, სოფლის მეურნეობის სამინისტროში მივედი, ხელმძღვანელობასთან მინდოდა შეხვედრა, რომ ქარხანა ჩვენს საკუთრებაში დაგვერეგისტრირებინა. მინისტრს ვერ შევხვდი, მაგრამ სამინისტროს იურიდიულ სამსახურში მაცნობეს, რომ თურმე ვიღაცას „ლაპა“ ედო ამ ქონებაზე და სხვანაირი მიდგომა იყო საჭირო, მატყუებდნენ. ავუხსენი, რომ სამინისტროს კომისიამ თავის დროზე ყველაფერი შეაფასა, თანხა გადავიხადეთ, ყველა საბუთი წესრიგში იყო და რა პრეტენზია უნდა ჰქონოდათ. კარგი, მოგცემთ სათანადო დოკუმენტს, ოღონდ ერთი 5.000 დოლარი მაინც გვაჩუქეო. ეს საუბარი ვინმე სოსო მდივნიშვილთან მქონდა, რომელიც თურმე არც კი ყოფილა თანამშრომელი. სხვა გზა არ მქონდა, დავთანხმდი, ჩვენი ბუღალტერიც მახლდა, მივიტანე ეს თანხა, 2000



ლარი მქონდა დარჩენილი გადასახდელი, რადგან დაგვიანებისთვის დაგვაჯარიმეს, ამ თანხას თუ გინდა ნუ გადაიხდიო, უარი ვუთხარი, ბიუჯეტს ვერ მოვატყუებ-თქო და ეს თანხაც გადავიხადე. ამის მერე სოსო მდივნიშვილი მეუბნება, არ გამოვა ეს საქმე, დავზვერე და მართლაც „ლაპა“ ადევს მაგ ქარხანას, ისე, ძალიან იაფად გიყიდიათო. ჩვენ რა შუაში ვიყავით, როცა იმ პერიოდში ყველაფერი იაფი იყო, კომისიას 105.000 დოლარად ჰქონდა ყველაფერი შეფასებული, აქედან 85.000 დოლარად მთლიანი ქონება, რასაც კიდევ ემატებოდა 20.000 დოლარი. ამ „არაკორუმპირებულებს“ შევთავაზე მოსულიყო მათი კომისია და ადგილზე შეემოწმებინათ, აქტში შეცდომის არსებობის შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იყო, გაესწორებინათ თუ არა და ჩამოერთმიათ, რას იპოვნიდნენ, რაც არ არსებობდა. რომ არ დავუთმე, მერე განაწყენებულებმა ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები ჩამომართვეს, სახელმწიფოსიაო. რანაირად იყო სახელმწიფოსი, როცა 1988 წელს, თვითონ სახელმწიფომ შემასყიდა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აშენებდა ამ ობიექტებს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ დაამთავრეს

ჩეკები. მხოლოდ ისაა საჭირო, საქმე მცოდნე სპეციალისტებმა განიხილონ, რაც დღეს ყველა სფეროში საუბედუროდ დეფიციტია.

**— ბატონო გივი, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, როგორ ნადგურდებოდა ქვეყნის ეკონომიკა, მათ შორის ქართული სოფელი და ვის მიუძღვის ამაში „წვლილი“.**

— ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. მეურნეობები და კოლმეურნეობები რომ დაშალეს და გააუქმეს, როგორც გითხარით, ტექნიკა ჯართად გაყიდეს, იგივე ბედი ეწია სარწყავ სისტემასაც. ამ ყველაფერს მაშინდელი უშიშროების სამსახური, პოლიცია, რაიონების პრეფექტები თუ გამგებლები „კურირებდნენ“. აქტიურად იყო ჩართული ლევან მამალაძეც, რომელიც ბოლოს ქვემო ქართლის გუბერნატორი გახლდათ და დღესაც იძებნება. ზემოხსენებული მეურნეობების ხელმძღვანელობას და სოფლის მეურნეობის სამსახურებს მონაწილეობა არაფერში მიუღიათ, მათ ცხვირს ვინ ჩააყოფინებდა. ჩემს თვალწინ იძარცვებოდა და იყიდებოდა ყველაფერი. არეულობის პერიოდში, შუა აზიიდან შემოტანილი ლითონი რომ გავყიდე, უშიშროების



დააკონსერვეს, უკვე ჭირდა ცხოვრება და ბანკიდან აღებულ სესხს ვერ ფარავდნენ. სამინისტროს ხელმძღვანელობამ შემომთავაზა, რომ რაც აშენდა, შემასყიდდნენ, ოღონდ ბანკის კრედიტი ჩვენს საწარმოს უნდა დაეფარა. დავფარე სესხი და საკუთრებაში გადმომცეს ეს ობიექტები, თუმცა ნაციონალებმა წამართვეს, მოგვიანებით ორი იჯარით გადმომცეს. ქარხნის მესაკუთრის საბუთიც ოთხი წლის დაგვიანებით, 2009 წელს დიდი დავიდარაბის შემდეგ მომცეს. სხვათა შორის, დღემდე მიდის იმ ობიექტებზე დავა, ფაქტია, რაღაც ინტერესი აქვთ. რამდენჯერმე მივმართეთ ოფიცილურად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, დიმიტრი ქუმსიშვილმა ასეთი პასუხი მომწერა: შენობა კი გეკუთვნით მაგრამ რომელ მიწაზეც დგას ის სახელმწიფოს ეკუთვნის და დაზარალდებაო. სასამართლოში სარჩელი შევიტანე, ახლაც სასამართლო განხილვაშია ეს საქმე, რადგან მოპასუხე მხარემ, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა სააპელაციოს გადაწყვეტილება, ობიექტური განხილვის შემთხვევაში, ეს საქმე დადებითად უნდა გადაწყდეს, ვინაიდან ყველა საბუთი მაქვს მაშინდელი ეკონომიკისა და სოფლის მურნეობის სამინისტროებიდან, რომ სადავო შენობა შესყიდულია 1989 წელს კოოპერატივ „აგრორემმანქასერვისის“ მიერ. ასევე შენახული მაქვს 1.300.000 მანეთის ბანკში სესხის დაფარვის და ფულის გადახდის

სამსახურიდან დამადგნენ, მიმანიშნეს, როგორ არ გეშინიაო, ზუსტად იმ დროს დახოცეს ცხიმკომბინატისა და საკონსერვო ქარხნის დირექტორები ქურდებმა და მხედრიონელებმა. ამხელა ქარხანა მებარა, ამიტომ იძულებული ვიყავი იარაღი მეტარებინა. ზვიად გამსახურდია იყო ისევ ხელისუფლებაში 3.000 ტონა ლითონი რომ შემოვიტანე და საწყობში მქონდა. არადა ფაქტობრივად უკვე ყველაფერი გაუქმებული იყო. მაგ პერიოდში იყო სამტრედიაში (რაიონის პრეფექტი ზვიად ძიძიგური) რკინიგზა რომ გადაკეტეს, რუსეთის არაფერი გვინდაო. შვიდი ვაგონი, 350 ტონა ლითონი დავკარგე, რადგან ჩემი ტვირთიც იქ მოხვდა. მარტო ეს ზარალი განიცადა ქვეყანამ ამ უგუნური საქციელით? არეულობით ყველა სარგებლობდა, თბილისში იყო ლითონის ბაზა, გამოვსებული იყო საქონლით, მისმა ხელმძღვანელებმა ბიუჯეტის გვერდის ავლით ყველაფერი გაყიდეს, ისე გამდიდრდნენ, რომ ამერიკაში გადავიდნენ საცხოვრებლად. სამტრედიაში ასეთი პრობლემა რომ შეიქმნა, მოსკოვში ჩავედი, რუსებმა მითხრეს, მძიმე მრეწველობა და ნედლეული თქვენ არ გაქვთ, გაყიდეთ აქედან გამოგზავნილი ლითონი და ისარგებლეთ, ესეც არ გინდათ, ჭკუა არ გაქვთ და ჩვენ რა გიშველოთო. დახმარება ვთხოვე, რომ ჩვენი კუთვნილი ფონდები კემეროვოს ოლქში ჩაესვათ, იქიდან ბაქოს გავლით შემოდიოდა თბილისში ტვირთები და პრობლემა

ნაკლები იყო. დამთანხმდნენ, ჩემი მოადგილე ფულით გავაგზავნე კემეროვოში, ფონდები უკვე მოხსნილი გვქონდა, მაგრამ მომარაგების სამსახურის თანამშრომლებმა ადგილზე აღგვიდგინეს, იქვე გამოგვიყვეს 500 ტონა ლითონი და ჩამოვიდა ეს ტვირთი თბილისში. აქ მშენებლობისთვის და წარმოებისთვის ვის ეცალა, ძარცვა-გლეჯვაზე იყნენ გადასული, ამიტომ უცხოელებზე გავყიდეთ, თურქებმა იყიდეს. საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ვიღაც, დაელაპარაკა უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებს, მერე მათ დამიბარეს, ხომ ხედავ როგორი მდგომარეობაა, როგორ არ გეშინია, ცალკე „მხედრიონი“, იქით ქურდები და სხვა დაჯგუფებები, ჩვენთან ერთად იმუშავეო. თვითონ ბარტერულ გაცვლებს აკეთებდნენ, შაქარი შემოჰქონდათ. დავთანხმდი, ჩავიტანე ფოთის პორტში ეს ლითონი და მაშინ ვნახე ჩვენი დალეწილ-დაჭრილი ტექნიკა მთებად რომ იდგა, გამზადებული იყო გასატანად. თუ რამე ვაგონი შემოდიოდა საქართველოში, ბათუმში ჩადიოდა და იქ იშლებოდა, ცალცალკე ჰქონდათ დახარისხებული ფერადი და შავი ლითონები, ასე გაიძარცვა საქართველო. ჩვენი ქარხანა სოფლის მეურნეობის გარდა, ქარხნებსაც ემსახურებოდა, აბრეშუმის კომბინატს რაღაცა დანადგარები დავუმზადეთ, ხაშურშიც იყო კარგი საწარმო, ფართლეულს უშვებდნენ, მათაც გავუკეთე ფარდული, მერე ეს ყველაფერი ჯართად დაჭრეს და უცხოეთში გაყიდეს. აბრეშუმის წარმოებას კაცი გააუქმებდა? საბურთალოზე უნიკალური კერამიკული კომბინატი იყო, მიწასთან გაასწორეს, ამის მერე მიადგნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ ფაბრიკა-ქარხნებს, დანადგარები ჯართის ფასად გაყიდეს, ხოლო შენობა-ნაგებობები მთლიანად დაანგრიეს და სამშენებლო მასალებად ყიდდნენ. უბედურება ის არის, რომ უცხოელი ტურისტების თვალით უყურებდნენ ყველაფერს, იქამდე მივიდნენ, რომ მარნეულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ახალაშენებული ქართული სკოლაც კი არ დაინდეს, რომელიც სექტემბერში უნდა გახსნილიყო, კედლებზე საღებავიც კი არ იყო შემშრალი. დაანგრიეს და მთელი მასალა დიღომში ბაღებისა და სახლების ასაშენებლად გამოიყენეს, მასალები ყოველგვარი საბუთის გარეშე, იაფად იყიდებოდა. ერთადერთი ჩვენი ქარხანა შევინარჩუნე, თოფითა და ავტომატით ვიცავდი, რომ არ გაძარცვულიყო. მე თვითონაც არ ვარ მშიშარა კაცი, გარდა ამისა, ძმა მყავდა იმ დროს პატიმარი, მას დიდი ავტორიტეტი, სერიოზული სახელი ჰქონდა ციხეშიც და გარეთაც, მისი ეშინოდათ, ვერ გამიბედეს, თორემ ბევრი მომადგა დასაყაჩაღებლად. აი, ასე წვალებით შევინარჩუნე ეს ქარხანა.

თოფ-იარაღიანი ხალხის თარეში კი დასრულდა, მაგრამ მერე სხვა პრობლემებმა იჩინა თავი, ქვეყანა ფაქტობრივად შიმშილობდა, რადგან სოფლის მეურნეობა გაჩერებული იყო. სიმართლე გითხრათ, ძალიან ბევრმა იზარალა უცოდინარობისა და რაც მთავარია, სიჯიუტის გამო. ფულს წამგებიან ბიზნესში დებდნენ, ცხადია, ზარალდებოდნენ და არცთუ იშვიათად, საცხოვრებელსაც კარგავდნენ. ყოფილი პრემიერ-მინისტრის, კვირიკაშვილის მამა ჯემალ კვირიკაშვილი და ლონგინოზ ზაქაიძე, ძალიან წესიერი, პატიოსანი ადამიანი, რომელიც ადრე ცეკაში მუშაობდა, უმუშევრები იყვნენ. ერ-



თობლივი ფირმა გავუხსენი ჩემთან, დიზელ-გენერატორებს ვუშვებდი, ამას უცხოეთში საკვებ პროდუქტზე ცვლიდნენ და შემოჰქონდა თ. მოგვიანებით შევარდნაძემ დაიბარა ზაქაიძე, წაიღე ერთ მილიონი დოლარი, იჯარით აიღე მიწები და მარცვლეული დათესე, ხორბალი გვჭირდებაო. მათ ეს ფული აიღეს და სხვაგან გადავიდნენ, მერე დამიბარეს, ფული გვაქვს, შემოდი საქმეში, 5.000 დოლარი შემოიტანე, რომ ჩვენი ორგანიზაციის წევრი გახდეო. დავთანხმდი, მაგრამ დავინტერესდი რას აპირებდნენ, მარცვლეული უნდა მოვიყვანოთ, კახეთში უკვე აღებული გვაქვს 2800 ჰექტარიო. გავაფრთხილე, თუ ამ ფულს მთლიანად ხვნა-თესვაში გავუშვებდით, წავაგებდით, 600.000 დოლარი ამ საქმეში ჩავდოთ, დანარჩენი თანხით შუა აზიიდან ხორბალი შემოვიტანოთ, ეს თანხა წელიწადში ექვსჯერ მაინც დაბრუნდება, მიწა კი ერთწლიანია, ერთ წელს მოდის მოსავალი, მეორე წელს რა იქნება არავინ იცის, აქ თუ წავაგეთ, ზარალს იმპორტიდან დავფარავთ-თქო. უარი მითხრეს, მეორე წელს მოსავალი კი მოვიდა, მაგრამ 800 ჰა-ზე ვერ აიღეს, კომბაინი არ იყო, როცა კომბაინი იშოვეს, უკვე დაგვიანებული იყო, ბალახი მოედო ყანას. მერეც რაღაც პრობლემები შეექმნათ, ასეულ ათასობით თანხა დაკარგეს. მომდევნო წელს რაღაც დათესეს, მაგრამ საშინელი გვალვა იყო, ყველაფერი დაიწვა, დარჩნენ მშივრები, ჩემგან სესხულობდნენ ფულს.

ხელისუფლებამ იაპონური გრანტით რომ შეიძინა სასოფლო-სამე-



ურნეო ტექნიკა, ამან დადებითად არ იმოქმედა აგრარულ სექტორზე?

ეს გრანტი კიდევ ცალკე თემაა, ჟვანიას გუნდს, რომელიც საკუთარ თავს „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ უწოდებდა, ხელის შეშლის მეტი არაფერი უკეთებია. ამ გრანტს „ორი კ-რ“ ერქვა, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის კენედის სახელობის ფონდი გასცემდა, თავიდან მისი შექმნილი იყო და ჩამორჩენილ ქვეყნებს ეხმარებოდნენ. კომუნისტების მმართველობისას მათი დახმარება რაში გვჭირდებოდა, ცენტრალური ბიუჯეტიდან საკმარის თანხასაც ვიღებდით და უამრავ ტექნიკასაც. მძიმე დღეში რომ ჩავვარდით, ჩვენც ჩაგვსვეს პროგრამაში და სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიც. ყოველ წელიწადს გამოიყოფოდა ხუთი მილიონი დოლარი, იაპონელების მითითებით, ამ თანხით მხოლოდ მარცვლეულისთვის საჭირო ტექნიკა უნდა შეგვეძინა, სხვა კუთხით განკარგვის უფლება არ გვქონდა. მოგვეცით განაცხადი რა გჭირდებათ, ჩვენი ფირმებს(მოსკოვშიც ჰქონდათ ასეთი ფირმა) გადავცემთ ამ ნუსხას, ისინი მოიძიებენ სხვადასხვა ქვეყნებში საჭირო ტექნიკას, ჩატარდება ტენდერი, ჩამოვიდეს თქვენი წარმომადგენელი და აარჩიეთ, რომელი ფირმის საქონლის შეძენა გინდათო, ასეც კეთდებოდა. მანამდე გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გენშერი ჩამოვიდა, რომელიც შევარდნაძესთან მეგობრობდა და დახმარების სახით, 15 მილიონი მარკა ჩამოიტანა. გენშერმა ეს ფული შევარდნაძეს გადასცა, სარწყავი სისტემები აღადგინეთო. იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ გულუა იყო, იგი წესიერი და კარგი სპეციალისტი იყო, მაგრამ მისი პატიოსნება შევარდნაძის გუნდს არ აწყობდა. ბატონი ბაკური პირდაპირ თათბირზე გაათავისუფლეს ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ მაჭავარიანმა და მის ნაცვლად დავით კირვალიძე დანიშნეს. სწორედ კირვალიძის ხელში განადგურდა გენშერის მიერ ჩამოტანილი 15 მილიონი მარკა ისე, რომ საქმეს არაფერი მოხმარებია.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24
**(გაგრძელება იქნება)**

# ვინ ამოზიდავს ზედაპირზე კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის „ბერმუდის სამკუთხედში“ ჩაძირულ ანაკლიის პორტს?

**სკანდალური ინტერვიუ ბატონ თეიმურაზ ქარჩავასთან, რომელიც გამაოგნებელ ისტორიას ჰყვება იმ მაქინაციების შესახებ, რის შედეგადაც სატენდერო კომისიამ უარი უთხრა 70 მილიარდი დოლარის ბრუნვის მქონე „პაუერ ჩაინას“ და არჩევანი სრულიად უსახო და უცნობ „კონტიზე“ გააკეთა**



შეერყა თუ არა სავარძელი საქართველოს პრემიერმინისტრ კვირიკაშვილს და მის **„ბიზნეს-პარტნიორ-მინისტრ“** ქუმსიშვილს **„ანაკლია პორტის“** პროექტში, **„ყაჩაღ ბანკირ“** ხაზარაძესთან ერთად, უმოწყალოდ აიშალა სამთავრობო და საპარლამენტო ჭილყვავი, ჟურნალისტებთან ერთად!

ბუნებრივია, ამას მოველოდი, მაგრამ ყველა ერთად ანკლიას თუ მიადგებოდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რამდენიმე მიზეზის გამო:

– 2013 წლიდან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რაიმე საქმიანი არავის დაუწერია **„ანაკლია პორტზე“** გარდა შეკვეთილი წერილებისა, სადაც აშკარად ჩანდა, რომ მათმა ავტორებმა პორტზე (მითუმეტეს, მშენებარე **„ღრმაწყლოვან პორტზე“**), საერთოდ არაფერი იცოდნენ.

– ერთერთმა მათგანმა კი, ამასწინათ, ყოველგვარი **„გამოძიების“** გარეშე, განაჩენი გამოუტანა ანაკლიის **„ათასწლეულის“** პროექტს!

მის **„საბრალდებლო დასკვნაში“** ნათქვამია – **„...ხაზარაძემ და მისმა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ღრმაწყლოვანი პორტის ასაშენებლად კერძო ინვესტიცია ვერაფრით მოიზიდეს, რადგან მსოფლიოს გავლენიანმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა ანაკლიის აბსოლუტურად უტოპიურ და ჩანასახშივე წარუმატებლობისათვის განწირულ პროექტში ფულის ჩადება არ მოინდომეს.“**

არადა, „ანაკლია პორტის“ პროექტის დროებითი ჩავარდნა, ამ პროექტის უტოპიურობის კი არა, მრავალ მიზეზთან ერთად კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის კორუფციული გარიგების შედეგია და იგი არ უნდა მიებას ფოთის პორტს და მის დღევანდელ მფლობელს!

ადრეც, არაერთხელ აღვნიშნე – ფოთის პორტში მოქმედ, მსოფლიოში ერთერთ უდიდეს გადამზიდავ კომპანია **„მაიერსკს“**, სანამ ანაკლიაში **„ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა“** ანონსირდებოდა, არასოდეს გამოუხატავს ნეგატიური დამოკიდებულება ამ პროექტისადმი. მაგრამ, როგორც კი ტენდერის გამარჯვებულად **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“** იგივე **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** გამოცხადდა და პორტის მშენებლობის ნაცვლად **„კონტეინერების ტერმინალის“** პიარს მიჰყვეს ხელი და ყველა საინფორმაციო საშუალება ანაკლიის **„კონტეინერების ტერმინალის“** მშენებლობაზე აუწყებდა მკითხველს, მე პირადად გამიჩნდა წინათგრძნობა, რომ **„მაიერსკი“** უსათუოდ იტყოდა თავის სიტყვას, რაც მოხდა კიდეც!

ბუნებრივია, **„ხაზარაძე კონტისეული“ ანაკლიაში მშენებარე „კონტეინერების ტერმინალი“, ფოთში არსებული ტერმინალის უშუალო კონკურენტია და მისი მეპატრონე ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მშენებლობა არ განხორციელდეს, ან თუნდაც შეფერხდეს და სანამ აშენებულა სახელი გაუტყდეს!**

ამ პროცესის თანამონაწილენი არიან ის ჟურნალისტები, რომლებიც უარგუმენტოდ, ზოგადი „ბრალდებებით“ ამტკიცებენ ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის უპერსპექტივობას, ისევე, როგორც ზოგიერთი, მთავრობის წარმომადგენელი და პარლამენტარი.

გერმანულმა კომპანიამ, რომელსაც ტენდერის 12 მონაწილეს შორის ყველაზე ღირსეული, ტენდერის პირობების უნაკლოდ შემსრულებელი უნდა შეერჩია. ამ მომსახურებისთვის ორ მილიონამდე ევრო მიიღო!

გერმანელებმა გასაგებია, რა მოგებაც ნახეს ამით, მაგრამ საქართველომ რა შედეგი მიიღო?

●

ვესაუბრებით, კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** პრეზიდენტს, ბატონ **თეიმურაზ ქარჩავას**:

– **2016 წლის ივნისში დასაწყები „ანაკლია პორტის“ მშენებლობა დღემდე არ დაძრულა. არადა, ეს პუნქტი, ტენდერის ერთერთი უმკაცრესი მოთხოვნა იყო!**

– მკითხველს უნდა შევახსენო: კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** და მასში შემავალი, ჩინური კომპანიის **„ფაუერჩაინას“** ტენდერის ბოლო ეტაპზე ჩამოშორება, დიდწილად, საქართველოს მთავრობის მიერ (სხვა ტექნიკურ საკითხებთან ერთად, რომლებიც სახელმწიფოს უნდა მოეგვარებინა), სწორედ, პორტის მშენებლობის, 2016 წლის პირველ ივნისს დაწყების, დაჟინებულმა მოთხოვნამ გამოიწვია!

ტენდერის ფინიშზე დარჩენილი **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფისგან“** განსხვავებით, ჩვენი კონსორციუმი რამდენიმე წელიწადი ემზადებოდა და ამუშავებდა **„ანაკლია პორტის“** მშენებლობის კონცეფციას. დეტალებში იყო გათვლილი ყველა ტექნიკური საკითხი (არაფერს ვამბობ პროექტის დაფინანსებაზე, რადგან, ამ საკითხის საეჭვოობის შემთხვევაში არასერიოზულია „ათასწლეულის პროექტზე“ საუბარი), ბუნებრივია, მათი შესრულების ვადებთან ერთად. ამიტომაც მივმართეთ საქართველოს მთავრობას და ასამდე შეკითხვა გავუგზავნეთ, რომელთა შესწავლა და გადაწყვეტა აუცილებლად მიგვაჩნდა, სანამ სახელმწიფოსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის ხელშეკრულება დაიდებოდა.

ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამ შეკითხვებში მშენებლობის დაწყების ვადის პირველი ივნისის ნაცვლად 2016 წლის ბოლომდე გადატანა იყო, რაზედაც კატეგორიული უარი მივიღეთ.

ასევე, სახელმწიფოსგან ვითხოვდით, პორტის მშენებლობის პარალელურად ინფრასტრუქტურის სინქრონულად მოწყობის გარანტიას, რომელიც, მიუხედავად ჩვენი კონსორციუმის წინადადებისა – ინფრასტრუქტურაც ჩვენ დაგვეფინანსებინა და აგვეშენებინა არ იქნა მიღებული და ეს შეკითხვაც უპასუხოდ დარჩა ყველა სხვა დანარჩენთან ერთად, რომელთა ჩამოთვლა საგაზეთო ინტერვიუში შეუძლებელია!

მახსენდება, ჩვენი შეკითხვების სიმრავლის გამო, მთავრობიდან ასე გვიპასუხეს – **„რა შეკითხვები აგიტყდათ, თქვენი კონკურენტი ხმას არ იღებს, უპრეტენზიოდ თანხმდება სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ტენდერის პირობებზეო?“**

ჩვენი პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო – **ჩვენ პორტის მშენებლობას სერიოზულად ვაპირებთ და შეკითხვებსაც ამიტომ ვსვამთ!**

ბუნებრივია, საქმისადმი ასეთი მიდგომა, ქვეყნის ანგაჟირებული მთავრობის თვალში, ჩვენი მისამართით გაღიზიანებას იწვევდა და საბოლოოდ, ყველა ჩვენი შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. არადა, ბოლო მომენტამდე ველოდით, მთავრობაში მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც მიახვედრებდა პორტის მშენებლობასთან დაკავშირებულ მინისტრებს და უშუალოდ პრემიერმინისტრს, რომ ტენდერში გამარჯვებულის – **„სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ ტენდერის პირობებზე უპრეტენზიო თანხმობა“** ათასწლეულის პროექტს ჩაშლიდა, რაც, სამწუხაროდ აცხადდა კიდეც!

თქვენი შეკითხვის არ იყოს – მესამე ივნისი მიიწურა „ანაკლია პორტის“ მშენებლობა კი დღემდე არ დაძრულა!

**– მესამე ივნისი მიიწურა, რაც თქვენ საქართველო დატოვეთ და აქ არ გამოჩენილხართ. რა ვუთხრათ „ანაკლია პორტის“ მშენებლობით დაინტერესებულ მკითხველს:**

**– ბატონმა თეიმურაზ ქარჩავამ, მთავრობის უნდობლობის გამო განაწყენებულმა დატოვა საქართველო?**

**– სად მოღვაწეობდა იგი ამ დროის მანძილზე?**

**– ფუნქციონირებს თუ არა თვენი კონსორციუმი „ანაკლია პორტი და ეკო პარკი“?**

**– საბოლოოდ ჩამოშორდა ბატონი თეიმურაზ ქარჩავა „ანაკლია პორტის“ ფაქტიურად ჩაშლილი მშენებლობის იდეას, თუ, შეიძლება იგი კვლავ ჩადგეს ქვეყნის და მისი მოსახლეობის უკეთესი მომავლის სამსახურში?**

– ის, რომ, „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“ ანაკლიაში პორტის ამშენებლები არ იყვნენ, ჩემთვის, მათი ტენდერში გამოჩენისთანავე იყო ცნობილი!

იქნება მკითხოთ – **რა არგუმენტებზე დაყრდნობით ვაცხადებ ამას?**

ამ კითხვაზე საქართველოს მთავრობამ გვიპასუხა ტენდერის ფინიშის სწორზე – **„რა შეკითხვები აგიტყდათ, თქვენი კონკუენტი ხმას არ იღებს, უპრეტენზიოდ თანხმდება სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ტენდერის პირობებზეო?“**

როცა, ასეთი უპასუხისმგებლო მონაწილე გამოაცხადეს ტენდერში გამარჯვებულად (სინამდვილეში „ანაკლია პორტის“ ტენდერს გამარჯვებული არ ჰყოლია, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენე, ჩვენი კონსორციუმი, ქვეყნის მთავრობისგან სატენდერო პირობებზე უმნიშვნელოვანეს კითხვებზე პასუხების მოლოდინში თამაშგარეთ დატოვეს), ჩემი საქართველოში დარჩენა, უამრავ კითხვას გააჩენდა და ისედაც გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო გაამწვავებდა...

მომიყვნენ, – **მავანმა ისიც კი სცადა, ჩემთვის დაებრალებინა საქართველოს მთავრობის და მისი რჩეულის „ხაზარაძე და კონტი ჯგუფის“ წარუმატებელი, ფულის სამათხოვრო ვოიაჟი დედამიწის გარშემო!**

წარმოიდგინეთ, ეს ორი წელი საქართველოში რომ ვყოფილვიყავი, რამდენ პროვოკაციებს მოაწყობდნენ ჩემი და ჩემი კონსორციუმის წინააღმდეგ, ოღონდ თავი დაეძვრინათ ჩასვრილი საქმიდან!

აქვე უნდა ვთქვა – **მიუხედავად ყველაფრისა ყურადღებით ვადევნებდი თვალს საქართველოს მთავრობის და მისი „რჩეულის“ მცდელობას, მოეძიათ პორტის ასაშენებელი თანხები (რაც ტენდერში მონაწილეობის გადაწყვეტილების მიღებამდე მზად უნდა ჰქონოდათ!) და მზად ვიყავი შესაძლებლობის ფარგლებში დავხმარებოდი კიდეც,**



**მაგრამ, როცა, ისინი, ჩემი კონსორციუმის წევრებს მიადგნენ ფულის სამათხოვროდ, მაშინ მივხვდი, რა დონის ავანტიურისტებთან გვქონდა საქმე მე და საქართველოს მოსახლეობას!**

ასეთ ხალხს როგორ უნდა გავუნაწყენდე?

მაშინაც კი არ გავნაწყენებულვარ ამ მთავრობაზე, როცა – **2015 წლის აპრილში ბერლინში გამართულ შეხვედრაზე, ერთერთ უდიდეს გადამზიდავ კომპანიის MSc-სთან მიღწეული შეთანხმება – ანაკლია პორტის, კონტეინერების ტერმინალის მშენებლობის დაფინანსება (1.200.000.000$) ჩამიშალეს. შეხვედრიდან მეოთხე დღეს, როცა ურთიერთთანამშრომლობისა და კონტეინერების ტერმინალის დაფინანსების ხელშეკრულებაზე უნდა მოგვეწერა ხელი, მორიდებით მაუწყა კომპანიის წარმომადგენელმა, რომ MSc-ს სამეთვალყურეო საბჭომ, საქართველოს მთავრობიდან მიიღო შეტყობინება – ბატონ თეიმურაზ ქარჩავას და მის კონსორციუმ „ანაკლია პორტი და ეკო პარკს" ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერა არ გააჩნიაო!**

მაშინ ვიფიქრე – მტერი მყავს ალბათ და მთავრობის სახელი გამოიყენა-მეთქი!

განაწყენებულს არ დამიტოვებია საქართველო – **გულდაწყვეტილი კი წამოვედი ორი წლის წინ, იმის გამო, რომ, ამ ჩინოვნიკებს, სახელმწიფო სამსახური პირად ბიზნესად აქვთ ქცეული!**

რას ვაკეთებდი საქართველოდან წასული?

– **ბუნებრივია, უსაქმურად არ ვყოფილვარ. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რომ იტყვიან, საქართველოში ერთი ცენტი არ მიშოვია, მე იქ „ბიზნესი" არ მქონია. უპოვართა თანადგომა, ქველმოქმედება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა, ახლის მშენებლობა, ანაკლია პორტის პროექტთან დაკავშირებული 20 წლის მანძილზე ჩემი საქმიანობა და ინვესტიციები პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად არ დამიგეგმავს, ყველა ეს საქმე ჩემი ქვეყნის და მისი მოსახლეობის საკეთილდღეოდ იყო გამიზნული.**

გვიან მივხვდი – **ურთულესი საქმე ყოფილა, ჩვენს დროში, საქართველოში კეთილი საქმის კეთების ნებართვის მოპოვება!**

კონსორციუმი „ანაკლია პორტი და ეკო პარკი" რა თქმა უნდა ფუნქციონირებს (ჩვენი, აწ უკვე ყოფილი კონკურენტის მსგავსად, იგი სახელდახელოდ არ შექმნილა „ანაკლია პორტის" ტენდერში მონაწილეობის მისაღებად), მასში შემავალ კომპანიებთან, მათ შორის „ფაუერ ჩაინასთან" ერთად და მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში. აქტიურად ვმონაწილეობთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მეგაპროექტების განხორციელებაში, როგორც ინვესტიციებით, ასევე უახლესი ტექნოლოგიებით.

მეც მაქვს შეკითხვა თქვენს გაზეთთან და საქართველოს მთავრობასთან!

– **ბრძანეთ!**

– ყურადღება მიაქციეთ, რა მოთხოვნებს უყენებდა ქვეყნის მთავრობა ტენდერში გამარჯვებულს და როგორ შესრულდა იგი:

„ანაკლია პორტის" ტენდერის პირობებით, გამარჯვებულს „ხელმოწერის თარიღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, გამარჯვებულმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით უნდა გადაიხადოს აუნაზღაურებადი ხელმოწერის ბონუსი 3.000.000 (სამი მილიონი დოლარის) აშშ დოლარის ოდენობით."

ამის გარდა ტენდერში გამარჯვებულს მზადყოფნაში უნდა ჰქონოდა – **„წინასამშენებლო გარანტია ერთი წლის ვადით 20 მილიონის ოდენობით. პერფორმანს გარანტია 20 მილიონის ოდენობით ყოველი გაფართოების ფაზისათვის. დამატბითი პერფორმანს გარანტია 40 მილიონის ოდენობით, რომელიც მთელ საინვესტიციო პერიოდზე ვრცელდება."**

– რა ბედი ეწია ამ ზემოთხსენებულ მილიონებს?

– ხომ არაფერს გეუბნებათ ის ფაქტი, რომ ზღვის ნაპირის ჩიჩქნა ბიუჯეტის ფულით დაიწყეს?

– ვინ გვიპასუხებს – სად არის ეს თანხები?

ვიდრე „ანაკლია პორტის" მშენებლობის ახალ შესაძლებლობაზე ჩამოვაგდებდეთ სიტყვას, უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, სადაც მიუკერძოებელი უცხოელი აუდიტი ჩაერთვება. დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი, როგორ მოხდა უფულო კონსორციუმის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადება, რა გაკეთდა 2016 წლის 5 თებერვლიდან დღემდე, ვისი და რა ოდენობის თანხები დაიხარჯა ანაკლიაში ჩატარებულ სამუშაოებზე, მოსახლეობის გასახლებისთვის გადახდილი კომპენსაციის ჩათვლით!

**ხომ არ ავიწყდება მთავრობას, სააკაშვილის რეჟიმის მიერ, ჩემი კომპანიისთვის უკანონოდ ჩამორთმეული პორტის ასაშენებელი მიწების საკითხი, დღემდე სასამართლო პროცესებს რომ ელოდება?**

**აქამდე ვიმედოვნებდი საქმე დაიძვრებოდა, მაგრამ, დღეს, როცა ყველაფერი გამოაშკარავდა და ცხადია ესენი ანაკლიაში პორტის ამშენებლები არ არიან, მივმართავ პროკურატურას და სასამართლოს დაუყოვნებლივ განიხილონ ჩემი კომპანიისთვის უკანონოდ ჩამორთმეული 2100 ჰექტარი მიწის ფართობის საკითხი!**

საქმე მზად არის როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო სასამართლოებზე გასატანად.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, მე და ჩემი კონსორციუმის წევრებმა „ანაკლია პორტის მშენებლობაში" ჩართვაზე!

უახლოეს დღეებში ვაპირებ საქართველოში ჩამოსვლას და იქ უფრო ვრცლად ვისაუბროთ!

ხაზარაძის ბანკირობა არაფერს ნიშნავს მსგავსი პროექტების დაფინანსების ნდობის მოსაპოვებლად. არც მისი კომპანიონი, ამერიკული კონტი გახლავთ დიდი ხვითო, საერთაშორისო საინვესტიციო სარბიელზე!

უცხო არ უნდა იყოს, რასაც ახლა ვიტყვი – **ამერიკელი „კონტი" ანაკლიის მიდამოებში სამუშაოს (შეკვეთის) საძებნელად გამოჩნდა რამდენიმე წლის წინ, როცა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაზე გაჩაღდა საუბარი. გასაოცარია როგორ გახდა იგი მეგაპროექტის ინვესტორი?!**

POWERCHINA

შედარებისათვის, თქვენი ნებართვით ჩვენი კონსორციუმის **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის"** წევრებს დაგისახელებთ:

1. **POWER CHINA – HUBEI HONGYUAN POWER ENGINEERING CO., LTD** (ჩინეთი);
2. **AECOM TECHNICAL SERVICES INC** (აშშ);
3. **BRITISH ECO POWER LTD** (დიდი ბრიტანეთი);

მიმაჩნია, ასევე საინტერესო იქნება მკითხველისთვის, თუ რა წინასამშენებლო გარანტიები გააჩნდა ჩვენს კონსორციუმს, რომლებიც საქართველოს მაშინდელ მთავრობას წარედგინა:

თურქული სამშენებლო კომპანია **„B. ERGÜNLER YOL YAPI INSAAT TAAHHUT MADENCILIK AS"**-ის საბანკო გარანტია 180 მილიონ დოლარზე.

ყოველივე ზემოთთქმულისა და წარმოდგენილი გარანტიების შემდეგ, საუბარი „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის" უპერსპექტივობაზე და მისი დაფინანსების საეჭვოობაზე მხოლოდ ამ პროექტისადმი მტრულად განწყობილს შეუძლია!

ალბათ დამიჯერებთ, რომ – მე არ მინდა იგი, საქართველოს მთავრობის ან ქართული მედიის წარმომადგენელი იყოს!

**დავით ქობალია**
598 708 600







**P.S** 2014 წელს ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში, საბანკო ექსპერტებთან ერთად კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის"** „ანაკლია პორტის" პროექტის განხილვის შემდეგ დადებული დასკვნის მოკლე შინაარსს გავიხსენებ:

**„კონსორციუმ ანაკლია პორტი და ეკო პარკის" მიერ შემოთავაზებული პროექტის დამფინანსებლების ჩამონათვალი უნიკალურია, სადაც წამყვანი პოზიცია ჩინურ სახელმწიფო გიგანტ კომპანიას „პაუერჩაინას" უკავია. ის, რომ საქართველოს სახელმწიფო არ აძლევს საბანკო, ან სახელმწიფო გარანტიას ტენდერში გამარჯვებულს და მიუხედავად ამისა, ჩინური სახელმწიფო კომპანია „პაუერჩაინა" მზადყოფნას გამოთქვამს დააფინანსოს პროექტი, თვითონვე ააშენოს იგი, და მისი ექსპლოატაციაც უზრუნველყოს, პროექტის გარანტირებულ წარმატებას განაპირობებს. ბატონებო, ეს ის შემთხვევაა, როცა საქმის დაწყებას, პროექტის მასპიძელი ქვეყნის მთავრობის კეთილი ნება აკლია მხოლოდ!"**

აქვე მკითხველ ვთავაზობ, **„ფაუერჩაინა"**-ს საზღვარგარეთის ბიზნეს-დანაყოფის პრეზიდენტის ბ-ნ დინგ ჩენგგუოს მიერ 2015 წლის 30 დეკემბერს საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილს, სადაც იგი საქართველოს მთავრობას აუწყებს:

**„...ჩვენ აღნიშნულ პროექტში ინტერესთა გამოხატვის ადრეული ეტაპიდან ღრმად ვართ ჩართულნი ჩვენს პარტნიორებთან, ბატონ თეიმურაზ ქარჩავასთან ერთად. როგორც პოტენციურმა ინვესტორმა, ჩვენ ძალიან დიდი ძალისხმევა გავწიეთ იმისათვის, რომ ჩინეთის ხელისუფლებისგან წინამდებარე პროექტისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა მოგვეპოვებინა. ჩვენ კარგად გვესმის ანაკლიის პორტის პროექტის მნიშვნელობა თქვენი ქვეყნისა და ხალხისათვის და ამ პროექტში მონაწილეობის მიღების ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება არ შეცვლილა. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ გაგვაჩნია საჭირო შესაძლებლობა და გამოცდილება ამ უნმიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებისათვის.**

**თქვენო აღმატებულებავ, „ფაუერჩაინას" მტკიცე განზრახვა ანაკლია პორტის პროექტთან მიმართებაში არ შეცვლილა. ჩვენ გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მთავრობის მიერ შერჩეულ იქნება პორტის განხორციელების სწორი სტრუქტურა, დაწესებული იქნება კეთილსინდისიერი საინვესტიციო პირობები და შეიქმნება რისკის განაწილების მექანიზმი მთავრობასა და ინვესტორს შორის, იმისათვის, რომ ძირითად ინვესტორად მოზიდული იქნას პორტის საინვესტიციო კომპანია და ასევე იმისათვის, რომ ბანკებმა წინამდებარე პროექტი მიიღონ, როგორც დაფინანსებადი პროექტი."**

როგორც ნახეთ, ბატონი დინგ ჩენგგუო ოპტიმიზმი არ გამართლდა. **„შესანიშნავმა სამეულმა" კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის შემადგენლობით** სულ ფეხებზე დაიკიდეს „ფაუერჩაინა" თავისი 70-მილიარდიანი ბრუნვით და ისეთი ხელოვნური ბარიკადები აღუმართეს, ისეთი აბსურდული მოთხოვნები წაუყენეს, ისეთი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აბლაბუდები დაუხლართეს, „ფაუერჩაინა" მიხვდა, რომ ამათთან საქმის დაჭერა არ ღირდა.

როგორც ამბობენ, სწორედ დიმიტრი ქუმსიშვილი იყო ის კაცი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილი შეცდომაში შეიყვანა და დაარწმუნა, „ფაუერჩაინა" თვითონ ამბობს უარს პროექტის განხორციელებაზე და საკუთარი ნებით ტოვებს ასპარეზსო.

შედეგი: **ქვეყანას ხელთ შერჩა მოპარტახებული ანაკლიის სანაპირო და პორტის აშენების გაურკვეველი, ბუნდოვანი, პესიმისტური პერსპექტივა.**

ტენდერი რომ მიკერძოებულად, კანონის სრული დარღვევით, სატენდერო პირობების უგულებელყოფით, ჩატარდა, ამის გამორკვევა და დამტკიცება ადვილზე ადვილი საქმეა, თუ ხელისუფლება მოინდომებს და იმ დოკუმენტებს გადაავლებს თვალს, რომლებიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის სამწუხარო და გამაოგნებელ ისტორიას ასახავს.

კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ამ დოკუმენტების შესწავლა, ალბათ, შეუძლებელი იყო, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ კვირიკაშვილი თვითონ მონაწილეობდა და თვითონ ლობირებდა ანაკლიის პორტის ტენდერის გაყალბებასა და ფალსიფიკაციაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი მთავრობა ობიექტურად შეისწავლის ანაკლიის პორტთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და ამ საუკუნის აფიორაში მონაწილე ყველა პირს სათანადოდ მიუზღავს.

კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ხაზარაძე – ქართული ეკონომიკის ბერმუდის სამკუთხედი იყო, სადაც ნელ-ნელა იძირებიოდა და უჩინარდებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა.

მადლობა ღმერთს, ეს სამკუთხედი დაიშალა, მაგრამ სანამ ძირფესვიანად არ აღმოიფხვრება და არ ამოიძირკვება ის შხამიანი ფესვები, რაც მათ ქართული ეკონომიკის წიაღში ასე ღრმად ჩაუშვეს, მანამდე ეკონომიკის წინსვლა უკიდურესად შეფერხდება.

**დ.ქ.**

# ძლიერი რეგიონები



## ფერმათა და ფერმერთა რეგისტრაცია

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფერმათა და ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი იწყება. დაგეგმილია საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ პირთა აღრიცხვა, რაც შექმნის მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას და გააჩენს შესაძლებლობას, სწორად შეირჩეს სამიზნე ჯგუფები მიზნობრივი და სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტის/პროგრამის განსახორციელებლად.

პირველ ეტაპზე ფერმათა/ფერმერთა რეესტრში დასარეგისტრირებლად დაუკავშირდებიან მხოლოდ ისეთ პირებს:

• რომელთაც რეგისტრირებულ საკუთრებაში/სარგებლობაში აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ი;

• რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს არანაკლებ 0,25 ჰა-ს და ამავდროულად არიან სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რომელიმე სასოფლო-სამეურნეო პროექტის/პროგრამის ბენეფიციარები ან/და სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული რომელიმე სასოფლო-სამეურნეო მომსახურებით.

რეესტრში საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირების მსურველი პირები შეძლებენ რეგისტრაციას სააგენტოს ცხელი ხაზის მეშვეობით, სადაც, დარეკვის და საკუთარი ფერმერული მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში (რაც დადასტურდება გადამოწმების შედეგად), პირი ავტომატურად დარეგისტრირდება რეესტრში.

ცხელი ხაზი: 1501

## თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● დასრულდა წყნეთი-ბეთანიის გზის რეაბილიტაცია. საავტომობილო გზა 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაიმეწყრა და დაზიანდა. ქვების შესაჩერებლად გაკეთდა სპეციალური ბადეები, დამონტაჟდა შეტყობინების სისტემები უმნიშვნელო ქანის გადაადგილებაზე სიგნალის გადასაცემად.

გზის რეაბილიტაცია 2017 წლის აპრილში დაიწყო და 2018 წლის ივნისში დასრულდა.

ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ და ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლებმა დასრულებული გზა დაათვალიერეს.

დღეიდან ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები გზაზე უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდებიან.

## გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ბენეფიციარმა მაია ბეროშვილმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანში მარწყვის ახალი ბაღი გააშენა.

8000 კვ.მ ფართობზე ბაღის გასაშენებლად 50 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 11285 ლარი ფერმერმა გრანტის სახით მიიღო, რომელიც სარწყავი სისტემების შესაძენად გამოიყო.

მარწყვის ბაღი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის მენეჯერმა თორნიკე კაპანაძემ დაათვალიერეს.

● ველისციხეში წყლის ორი ახალი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ჭაბურღილიდან მოპოვებული წყალი დაგროვდება სოფლის სათავე ნაგებობაში, საიდანაც მოსახლეობა მარაგდება. ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით 230 175 ლარით დაფინანსდა.

● სოფელ არაშენდაში წყლის ჭაბურღილი მოეწყობა. სამუშაოებზე, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ფინანსდება, ტენდერი გამოცხადდა და 17 ივლისს დასრულდება. ახალი ჭაბურღილიდან წყლით სოფლის ცენტრალური უბანი მომარაგდება და 250-მდე ოჯახის წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან თათბირი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ: კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული — გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, აგრეთვე შპს „მექანიზატორის“ წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს ალოობის მიმდინარეობის პროცესი, მერის წარმომადგენლებისგან მოისმინეს, თუ რამდენად შეუფერხებლად და უდანაკარგოდ ხდება მოსავლის აღება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მეუფე დიმიტრისთან ერთად, მხარის გუბერნატორმა და მუნიციპალიტეტის მერმა წმინდა ვახტანგ მეფის სახელობის სკოლა-ინტერნატი მოინახულეს, გაეცნენ სკოლა-ინტერნატის მე-3 საფეხურის სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციას და სპორტდარბაზის მშენებლობას.

სოფელ არბოშიკში სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობის პროცესსაც გაეცნენ. სამუშაოების შესრულება მაისში დაიწყო და უახლოეს დღეებში დასრულდება. ახალი წყალმომარაგების სისტემით სოფლის 130 ოჯახი ისარგებლებს.



დუშეთი

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პროექტის — „ეფექტიანობისა და განვითარების ქსელის“ ფარგლებში პირველ ოფიციალურ შეხვედრას დაესწრო. GE EU პროექტს ევროკავშირი აფინანსებს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მუნიციპალიტეტებში ინკლუზიური მმართველობისა და მონაწილეობითი დაგეგმარების დამკვიდრებას, საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვას, ადგილობრივ თვითმმართველობათა შორის თანამშრომლობისა და კარგი პრაქტიკის ქსელის შექმნას.

შეხვედრაზე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასა და ათ საპილოტო მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, პროექტი იმუშავებს ლაგოდეხის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ახალციხის, გორის, ამბროლაურის, მცხეთისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში.

## დუშეთის მუნიციპალიტეტში

● 2018 წლის მაისიდან დუშეთის მუნციპალიტეტში, კერძოდ დაბა ჟინვალში, ორგანიზაციის „შინ მოვლის დიაკონური სამსახურისა“ და დუშეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შინ მოვლის პროგრამა ამოქმედდა.

პროგრმა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე, საწოლს ან სახლს მიჯაჭვული პირების შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფას.

პროგრამის ძირითადი ამოცანაა დიმენციით დაავადებული ბენეფიციარების მოვლა. ამ ეტაპზე პროგრამით სარგებლობს 12 ბენეფიციარი, რომლებსაც სთავაზობენ შემდეგ მომსახურებას: სამედიცინო უზრუნველყოფა (ექიმის დანიშნულებისამებრ); სხეულის მოვლა და ჰიგიენა; საშინაო საქმეების მოგვარება.

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგია, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო სხულუხია ჩეხეთის რესპუბლიკის „კარიტასის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ზუგდიდში კიბოს პრევენციის სკრინინგ ცენტრის მშენებლობის საკითხებს. სამშენებლო სამუშაო-




გურჯაანი

# ძლიერი საქართველოსთვის




ბის დასრულების შემდგომი ეტაპი იურიდიული საკითხების მოგვარებასა და ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებას გულისხმობს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ონკოპრევენციის ცენტრის არსებობას ზუგდიდისა და რეგიონისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„სკრინინგის პარალელურად, მოსახლეობის ინფორმირებულობის ასამაღლებლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ქმედით ნაბიჯებს გადადგამს. ცენტრი დაკომპლექტდება მოწვეული წამყვანი ონკოლოგებით. გარდა ამისა, გადამზადდებიან ადგილობრივი კადრები, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის მომსახურების ხარისხს“, — აღნიშნა ლაშა გოგიამ.

ზუგდიდში კიბოს პრევენციის სკრინინგ-ცენტრის მშენებლობას ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი ახორციელებს.

## 5 ახალი საბავშვო ბაღი სამეგრელოს რეგიონში

სამეგრელოში ხუთი ახალი საბავშვო ბაღი აშენდება. აქედან ორი საბავშვო ბაღის აშენება იგეგმება ზუგდიდში, ორის სენაკში და ერთის ფოთში. ახალი საბავშვო ბაღები დევნილთა ჩასახლებებში აშენდება.

დაგეგმილი პროექტები სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ლევან შონიასა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დირექტორ ვინსენტ დონტონს შორის გამართულ შეხვედრაზე განიხილეს.

პროექტს დანიის ლტოლვილთა საბჭო გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით განახორციელებს. საბავშვო ბაღების მშენებლობასთან ერთად იგეგმება სხვადასხვა პროექტი. როგორც შეხვედრაზე ვინსენტ დონტონმა აღნიშნა, სამეგრელოში 100-მეტ დევნილ ოჯახს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში აუშენდება ახალი საცხოვრებელი სახლი.

ლევან შონიამ ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლებს რეგიონში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების გამო მადლობა გადაუხადა.

## მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მარტვილის მუნიციპალიტეტის ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში წმ. ბარბარეს სახელობის ტაძართან მისასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარის მეორე ფენა დაგებულია.

პროექტის ფარგლებში დაიგო 1499 მეტრი ასფალტბეტონის საფარი. ასევე მოეწყო ლითონის მილები მიერთებებზე და ეზოს შესასვლელებში.

სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა, მერის პირველ მოადგილესთან დავით სურმავასთან და მერის წარმომადგენელთან ირაკლი დანელიასთან ერთად გაეცნო.

პროექტის ღირებულება 413 971 ლარია. სამუშაოები შესრულებულია 95 პროცენტით. ნაჯახაოში გზის მშენებლობა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

● მარტვილის მუნიციპალიტეტში „იუსტიციის სახლის“ სამშენებლო სამუშაოები გრძელდება. პროექტის ფარგლებში აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების შენობა, სადაც განთავსდება საოფისე, მომსახურების და სასწავლო სივრცეები, ასევე ქორწინების სახლი. მოეწყობა ავტოსადგომი.

მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გრიგალავამ მერის პირველ მოადგილესთან დავით სურმავასთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ღირებულება 2 136 900 ლარს შეადგენს. სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება.




● ქალაქ მარტვილში შიდა გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა ქალაქ მარტვილში ოქტომბრის და ნ. გეგიას ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშაოებს გაეცნო.

პროექტი ასევე მოიცავს თამარ მეფის, შეროზიას, წერეთლის, დადიანისა და კალინინის ქუჩების რეაბილიტაციას. ჯამში დაიგება 3 500 მეტრი ასფალტბეტონის საფარი.

პროექტის ღირებულება 607 995 ლარს შეადგენს. სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება

● მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ახვლედიანთან, მაჟორიტარ დეპუტატ დავით ბარამიასთან და მერის წარმომადგენელ ელენე კოკაიასთან ერთად ქალაქ მარტვილში, ნახარებაოში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა.

ალექსანდრე გრიგალავა მათ პრობლემებს გაეცნო და ისაუბრა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდება.

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ სოფელ ნაფიჩხოვოში ჩაის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

სოფელ ნაფიჩხოვოში, „ქართული ჩაის“ რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კოოპერატივი „კოლხური თაიგული“ 24 ჰექტარზე გაშენებული გაველურებული ჩაის პლანტაციის აღდგენაზე მუშაობს.




## ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● საქართველოს პარლამენტის წევრმა, ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა და მერიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა პირებმა მუნიციპალიტეტში სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე იმსჯელეს.

მოსახლეობის განცხადებით, ზაფხულის დადგომასთან ერთად სასმელი წყალი მცირდება და ხშირად არც აქვთ. ბოლო პერიოდში ელექტროენერგიის გათიშვაზეც ჩივიან. შეხვედრაზე ამ საკითხების მოგვარების გზები განიხილეს.

● ბოლნისში ისტორიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იწყება — ბოლნისის დასავლეთ ნაწილში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. საერთაშორისო ტენდერი გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 25 ივნისს გამოაცხადა.

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარესთან და მერის პირველ მოადგილესთან ერთად, დაბის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

ავტოსადგურის მიმდებარედ სკვერი მოეწყობა.

გოგიბერიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მშენებლობა სრულდება.

გოგებაშვილის ქუჩაზე მინისაკალათბურთო მოედნის მშენებლობა დაიწყო.

# ზვიად ჩიტიშვილი – ოსტაპ ბენდერი, მიუნჰაუზენის ფანტაზიით



ზვიად ჩიტიშვილი რედაქციაში ერთმა მეგობარმა მოგვიყვანა – საინტერესო კაცია, ქვეყნისთვის სასიკეთო იდეები აქვსო... არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას, დაელაპარაკეთ, მოუსმინეთ და თუ თქვენთვისაც მისაღები და საინტერესო იქნება მისი მოსაზრებები, დავეხმაროთ და გვერდში დავუდგეთო.

რა თქმა უნდა, ვესაუბრეთ ბატონ ზვიადს, ყურადღებით მოვუსმინეთ, ძალიანაც მოგვეწონა, რასაც ამბობდა და სულ მალე გაზეთის ორ გვერდზე ვრცელი ინტერციუც დავბეჭდეთ.

ინტერვიუს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. უამრავი ადამიანი გვირეკავდა და ბატონ ზვიადთან, როგორც ისინი ამბობდნენ, ამ ღვთის მიერ მოვლენილ კაცთან და დიდ პატრიოტთან დაკონტაქტებას გვთხოვდნენ.

სამწუხაროდ, ამ ადამიანებს თხოვნა ვერ შევუსრულეთ – ჩიტიშვილი ისე გაფრინდა, როგორც



ჩიტი და მერე აღარც მოფრენილა.

არადა, მის ინტერესებში უნდა ყოფილიყო, რომ ამ ინტერვიუს წყალობით გამოჩენილ საკმაოდ ფართო აუდიტორიასთან კავშირები დაემყარებინა.

პირველი ეჭვი ამ კაცის მიმართ მისი მოულოდნელი გაუჩინარების შემდეგ გაჩნდა, თუმცა ამ ფაქტისთვის მაშინ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია.

როგორც აღმოჩნდა, ჩიტიშვილი შორს არ გაფრენილა – სხვა გაზეთების ფურცლებზე დაიწყო ინტერვიუებისა და წერილების გამოქვეყნება, რომლებშიც ისეთ ფანტასმაგორიულ დაპირებებს იძლეოდა და ისე იოლად და ადვილად წარმოაჩენდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, დაუბრებულ ოსებთან და აფხაზებთან შერიგების შესაძლებლობას, რომ ადამიანს შეიძლებოდა მის ნორმალურობაშიც კი შეჰპარვოდა ეჭვი.

მიუხედავად ამისა, ჩიტიშვილი მაინც „უბერავდა" და ინტერვიუს ინტერვიუზე, წერილს წერილზე „აცხობდა" და ერთმანეთზე ალაგებდა. აშკარად ბარონი მიუნჰაუზენის ტიპაჟს ჰგავდა ჩიტიშვილი. ამასობაში რედაქციაში ის ადამიანი მოვიდა ბოდიშის მოსახდელად, ვინც ჩიტიშვილი მოგვიყვანა.

– ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ჩემდაუნებურად შეცდომაში რომ შეგიყვანეთ, ისეთი რამეები აკეთა ამ ადამიანმა, იმდენი ვინმე მოატყუა, რომ გაოცებული ვარ – თავიდანვე როგორ ვერ მივხვდი, ვინც იყო და რაც იყოო.

– ბარონ მიუნჰაუზენის გარე ბიძაშვილი ხომ არ არის ეგ? – ვკითხეთ.

– მიუნჰაუზენი კი არა ნამდვილი ოსტაპ ბენდერია – ფულს აკეთებს ამ ვითომ პოლიტიკოსობით. აქ ჩვენ, ქართველებს გვატყუებს, საქართველოს გარეთ კი სხვებს აყრის თვალებში ნაცარს და ფულებს ცინცლავს – საქართველოში ისეთი ავტორიტეტი მაქვს, ოღონდ თქვენ დამეხმარეთ და პარლამენტში შევალ ჩემი გუნდითო. იმ წერილებს და ინტერვიუებს რომ ბეჭდავს წარამარა სწორედ მათ შეცდომაში შესაყვანად აკეთებს ამას, თორემ ქართველი ხალხი მაგის ზღაპრებს როგორ დაიჯერებს?

მალე **ზაზა გაბედავამაც** ამოიღო ხმა და ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ჩიტიშვილი აფიორაში ამხილა:

„ დღეს საქართველოში ყველაფერი ფულზე იყიდება. ადრე, ეროვნული მოძრაობის აყვავების პერიოდში, გულანთებული რომ ვიბრძოდით, მაშინ არ იყო ასე. რამდენიმე დღის წინ ინფორმაცია მომივიდა, **მეჭიაური** ახლადგამოჩეკილ **ჩიტიშვილთან** და პუტჩისტ **მამალაძესთან** გაერთიანებულა. ძალიან გამიკვირდა ეს თამაზისგან. დავურეკე კიდევაც და ვუთხარი ამაზე. მანამდე, ჩიტიშვილი რომ გამოჩნდა, დამირეკა ერთი-ორმა და მკითხა: ვინ არიან ძმები ჩიტიშვილებიო. ვინ არიან და არარაობები-მეთქი, ვუთხარი და მართალიც ვთქვი. ახლა ესენი ატყუებენ ხალხს. ვერ ვითმენ, გული მტკივა, მწყინს, რომ ასეთი რამეები ხდება დღესაც საქართველოში.

მეჭიაური მოსკოვში იყო ჩამოსული, შეხვედრები ჰქონდა აქ ხალხთან. დამირეკა მეც. შევხვდი. ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ თუ ახლა ჩიტიშვილებთან, მამალაძეებთან და მამლაყინწებთან ერთიანდება, აღარ მაქვს მე მასთან საქმე.

რამდენიმე ხნის წინ ზვიად ჩიტიშვილის ძმამ **ბადრი ჩიტიშვილმა** დამირეკა. რესტორანში დავჯექით, ცოტა წავიხემსეთ. ბადრიმ თქვა: ბიზნესმენი კაცი ვარ, რუსეთში კი ვცხოვრობ, მაგრამ საქართველოშიც ჩავდიოდი სააკაშვილის დროს, მიშასთანაც კარგი ურთიერთობა მქონდაო.

ეკლესიაში შევალ და დავიფიცებ, რასაც ვამბობ, სრულ სიმართლეს ვლაპარაკობ – ახლა რომ ეროვნულ კაცად მოაქვს თავი, იმ ზვიად ჩიტიშვილის ძმამ განაცხადა ასეთი რამ. **სააკაშვილთან კარგ ურთიერთობაში ყოფილან და ახლა მთავრობაში უნდათ მოსვლა?!**

ძმები ჩიტიშვილები ახლა გვერდიგვერდ რომ დგანან და სააკაშვილის ფიტულს რომ წვავენ ამერიკის საელჩოსათან, მაშინ სად იყვნენ, ჩემმა ძმაკაცმა, ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრმა ბესო მიქავამ სააკაშვილის მმართველობის დროს რომ დაწვა მიშას ფიტული?! მაშინ სად იყვნენ ეს ჩიტები და გვრიტები? პოპულიზმია მათი ქმედება და ძალიან მიკვირს, **გია კორკოტაშვილი** რომ ჩიტიშვილის გვერდით ჩნდება."

* * *

ბევრისთვის მოულოდნელად ზვიად ჩიტიშვილი საპარლამენტო არჩევნების წინ „მრეწველების" ბლოკში გაერთიანდა.

ახლა ის „მრეწველებს" უჩივის, თუმცა რა მოხდა სინამდვილეში და რა ფოკუსები ჩაატარა ბლოკში, ამის შესახებ „მრეწველებთან" დაახლოებული ერთი პირი მოგვითხრობს, რომელმაც თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა:

– „შემოთავაზება მივიღეთ: იქმნება პარტია „ჩვენი სამშობლო" და ეგებ მასთან ბლოკი შექმნათ საარჩევნოდო. ამ პარტიის შესახებ მანამდე, ცხადია, არაფერი ვიცოდით, მოგვიანებით გავიგეთ, ჩიტიშვილები ოთხი ძმანი ყოფილან და მოსკოვში წვრილი მარკეტების ქსელი ჰქონიათ. გარკვეული დროის შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა ზვიად ჩიტიშვილის ორი ძმა და პარტია „მრეწველებს" ფინანსური დახმარება შესთავაზეს. ასე დაუფიქრებლად, ცხადია, ჩვენ ვერავითარ წინადადებაზე ვერ დავთანხმდებოდით და გამოვიკითხეთ, ვინ იყო ქართული საზოგადოებიდან მათი მხარდამჭერები. ყველაზე ცნობილი გია კორკოტაშვილი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებები მაინც გავაგრძელეთ, რომ გაგვერკვია, რას ითხოვდნენ ჩვენი პარტიისგან – მაჟორიტარები გვყავს საკმაოდ ავტორიტეტული ხალხი, ჩვენ მათ დავაფინანსებთო. ბლოკში გაერთიანების კვალდაკვალ 16 მაჟორიტარი მოითხოვეს, რომელთაგან ერთი გორელი ოსი იყო და სხვები უღიმღამო და ნაკლებად ავტორიტეტული სახეები, რომლებიც, თავიდანვე ჩანდა, ხმებს ვერ მიიღებდნენ. ძმები ჩიტიშვილები ირწმუნებოდნენ: ჩვენ დავაფინანსებთო.

პარტიის ხელმძღვანელები ეუბნებოდნენ: ახალციხეში, ხაშურში, სამეგრელოში ოსური წარმოშობის ადამიანებს ხმებს არ მისცემენ და კანდიდატურები სწორად შეარჩიეთო, მაგრამ ესენი მაინც თავისას მიერეკებოდნენ. ჩასვეს ეს ხალხი, დაფინანსება არ მისცეს, მაჟორიტარობის მათმა კანდიდატებმა ჯიბის ფული დახარჯეს და როგორც მოსალოდნელი იყო, ვერც ერთი ვერ გავიდა. არჩევნების შემდეგ ცოტა ხანი იყო გასული, რომ მრეწველთა პარტიის ოფისს მათგან გაწბილებული ხან ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი მოადგა, ხან – მეორე – ფული მოგვეცითო, საკუთარი თანხები დავხარჯეთო. ჩვენს პარტიას რა უნდა მიეცა, როცა მაჟორიტარები „ჩვენი სამშობლოს" წარდგენილი იყო?!

უარესი ამბავი მოხდა არჩევნებამდე ორი კვირით ადრე. ჩვენ ყველანაირი დოკუმენტაცია გამზადებული გვქონდა, როცა „ჩვენი სამშობლოს" ცენტრალურ ოფისში გაწევ-გამოწევა მომხდარა და საარჩევნო დოკუმენტაციას ვერ კრებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მოიტანეს საბუთები, მაგრამ წარდგენის ბოლო დრო 6 საათი იყო და ჩვენ 7-ის ნახევარზე მივედით რეგისტრაციაზე.

ცხადია, არ დაგვარეგისტრირეს. მერე, გახსოვთ, ალბათ, სასა-



მართლო გვქონდა და დაუშვეს ჩვენი ჩართვა საარჩევნო პროცესებში.

„ჩვენი სამშობლოს" ოფისში ამ დროს თურმე ისევ გამიშვი-დამიჭირეა სიაში ჩასმასთან დაკავშირებით და ა. შ. მერე რაღაც მიტინგი გამართეს და ჩვენც მიგვიწვიეს. მიტინგზე 50 კაცი იყო სულ. მოკლედ, წავაგეთ ბლოკმა ეს არჩევნები.

წაგებამდე მრეწველთა პარტიას მოსკოვიდან დაუკავშირდნენ. როგორც ჩანს, იქ თავიანთ ძალებში ვიღაცებს არწმუნებდნენ ჩიტიშვილები და მათი თანამოაზრის — **ლევან მამალაძის** სიაში ჩასმა გვთხოვეს. ჩვენგან რომ უარი მიიღეს, მერე მამალაძის ცოლი შემოგვთავაზეს კანდიდატად. ცხადია, ორივე წინადადებაზე უარი მიიღეს, როგორ ჩავსვამდით სიაში მამალაძეს, რომელსაც 17 წელი აქვს მისჯილი, ან მისი მეუღლე რომელი პოლიტიკური მოღვაწეა?! პარტიას თავისი ავტორიტეტი აქვს და რატომ უნდა გაგვეფლანგა წლებით მოპოვებული ნდობა? მერე მეჭიაური მოგვიგზავნეს. მოვიდა მეჭიაური და გამოგვიცხადა — „ჩვენი სამშობლოდან" 10-ში 8 ჩვენი კანდიდატურა უნდა იყოს, 2 — თქვენიო. გუშინ შექმნილ პარტიას 8 კაცი უნდოდა სიაში. გასაკვირი ამბავი არ არის?

არჩევნების მერე 12 მაჟორიტარი მოგვადგა, ფული არ მოგვცეს, გადაგვაგდეს, თქვენ მოგვეცით მათი დაპირებული თანხაო.

ვინც ეს ხალხი თავიდან შემოგვთავაზა, ის დღემდე გვიკავშირდება და ბოდიშებს იხდის — არ ვიცოდით, ასეთი „ჟულიკები" თუ იყვნენო, მაგრამ „მრეწველთა პარტიას" ავტორიტეტი უკვე გაუფუჭეს და რაღა დროსია, რომ იტყვიან, „თითზე კბენანი".

ამის მერე კიდევ გამოჩნდნენ ძმები ჩიტიშვილები და ისევ შემოგვთავაზეს თანამშრომლობა. დაგვეკარგეთ აქედან-თქო, ვუთხარით. წავიდნენ და ახლა ზვიად ჩიტიშვილი გამოგვიგზავნეს. ზვიადმა თქვა: მე ჩავალ ცხინვალში, მოველაპარაკები ოსებს და დავაყენებ საკითხს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების თაობაზეო. რისი გამკეთებელი იყო?! მერე თანხებზეც დაელაპარაკა პარტიის ხელმძღვანელობა, ხალხი ფულს ითხოვს და რა ხდებაო. დავალება მომცეს ისეთი, შეუძლებელი იყო იმის გაკეთებაო, უთქვამს. ჩვენგან ყველაფერზე უარი რომ მიიღო, მერე დაიწყო პროვოკაციები და საჯარო პრეტენზიები. მთავარი პრეტენზია ისაა, რომ ბლოკისთვის გამოყოფილი სახელმწიფო თანხა თითქოს მას უნდა მივცეთ, მაგრამ რაში უნდა მისცეს „მრეწველებმა" ფული. თანხა სახელმწიფოსგან ჩვენი წარმომადგენლებისთვის არის განკუთვნილი და ჩიტიშვილი და მისი ე.წ. პარტია რა შუაშია? ნახა, რა, რომ ჩვენთან არაფერი გამოუვიდა, ახლა თურმე სხვადასხვა პარტიებთან დადის და ცხადია, იმათაც ატყუებს — ფულს მოვიტანთ, მუშაობას გავაჩაღებთო.

„მრეწველები" სარჩელს ვამზადებთ. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხალხმა უნდა დაინახოს, ვისთან გვაქვს საქმე, რომ კიდევ ახალი აფიორები არ წამოიწყოს.

ჩვეულებრივი მატყუარაა ეს კაცი — ოსეთში ეკლესიას ვაშენებო, ქართველები და ოსები ერთად ილოცებენო. იდეა ცუდი არაა, მაგრამ ზვიად ჩიტიშვილი რომ ამ ტაძრის აშენებას იბრალებს, გავიგეთ, სინამდვილეში, ჩრდილო ოსეთელები აშენებენ თურმე ტაძარს და ჩიტიშვილი იქ არაფერ შუაშია.

ჩვენ აუცილებლად ვუჩივლებთ, არადა, ახლა თვითონ ამბობენ, თურმე, ჩვენ ვუჩივლებთ „მრეწველებსო". გვიჩივლონ, ჩვენ არაფერი არ გვაქვს დასამალი. რაც შემოიტანეს, ყველაფერი დოკუმენტურად გვაქვს გაფორმებული. რაც ჩვენ გავიღეთ წინასაარჩევნოდ ბლოკის წარმატებისთვის, ისიც სახეზეა.

საინტერესოა, საიდან ჩნდება პოლიტიკურ ასპარეზზე ასეთი



ხალხი და რატომ და რისთვის აძლევენ ფულს. შეიძლება რუსეთში, გარკვეულმა ძალებმა, მისცეს ჩიტიშვილებს, ალბათ, სავარაუდოდ, 3 მლნ, მაგრამ მათ პოლიტიკური მიზნებისთვის ამ თანხებიდან მხოლოდ კაპიკები დახარჯეს. ხომ გითხარით, ხალხი გადაყარეს, საკუთარი ჯიბის ფული ახარჯვინეს საარჩევნოდ. საბოლოოდ იმის ეჭვი ჩნდება, რომ მათ არავითარი პოლიტიკური მიზნები არ ჰქონიათ. ფულის კეთება უნდოდათ და, ალბათ, გააკეთეს კიდევაც. როგორც ჩანს, რუსეთშიც არიან გარკვეული ძალები, რომლებიც პოლიტიკის სახელით ფულს აკეთებენ — გამოიჭერენ ჩიტიშვილისნაირებს, აძლევენ ფულს, რომლის დიდი ნაწილი ისევ „პირველწყაროებს" უბრუნდება".

* * *

ჩვენ შევხვდით პარტია „ჩვენი სამშობლოს" ერთ-ერთ წევრს, რომელიც უშუალო თვითმხილველი და მოწმეა იმისა, თუ როგორ ჩააფლავა და გააკოტრა პოლიტიკურად ორგანიზაცია „ჩვენი სამშობლო" ამ „დიდმა პოლიტიკოსმა".

— „როგორც კი შევამჩნიე, რა კაციც იყო ზვიად ჩიტიშვილი, მაშინვე ჩამოვეცალე და ბოლოს ისე მოხდა, რომ მის გვერდით ერთგული აღარავინ დარჩა **პორკოტაშვილის, ხუბულაშვილის** და მათნაირების გარდა.

რასაც ლაპარაკობდა, სულ ფანტაზიები იყო.

ამბობდა, მოსკოვიდან გამომგზავნეს ქართველებმაო, მაგრამ თუკი იქ ქართველები შეიკრიბნენ და რაიმე სასიკეთო მოიფიქრეს და მაინცდამაინც ბენტერა გამოგზავნეს, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე.

ჩემი აზრი ასეთია: იქ ქართველებმა შეკრიბეს ფული, რაიმე კარგი საქმე გავაკეთოთო და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ტაძრის აშენება გადაწყვიტეს.

წმინდა გიორგის ტაძარი აშენდა, რაზეც ჩიტიშვილი ამბობს, ჩემი ჯიბის ფულით ავაშენეო, ძნელი დასაჯერებელია. იმის მიუხედავად, რომ ამბობს: ბიზნესები მაქვს საქართველოშიც და რუსეთშიცო.

დასამალი არაფერია, პირდაპირ ვიტყვი, რამდენი პოლიტიკოსიც გამოგზავნეს რუსეთიდან საქართველოში, ზოგმა სახლები იყიდა, ზოგმა მანქანები, თუ საქმის გაკეთება უნდოდათ, რატომ არ გამოაგზავნეს ისეთი ადამიანი, რეალურ საქმეს რომ გააკეთებდა? თუ არადა, რატომ არავის პასუხს არ სთხოვენ? მაგრამ სპეციალურად აგზავნიან ისეთ ადამიანს, რომელიც თვითონაც შეჭამს და იმათაც დაუტოვებს საზრავად რუსეთში.



ჩიტიშვილი წარმოშობით ახალგორელია. იცის იქაური სიტუაცია და ბევრი სხვა ამბებიც, მაგრამ როგორ შეიძლება სანდო იყოს, როცა თვითონ აფინანსებდა ნაციონალებს.

ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე გეტყვით, რომ მის მიერ შექმნილი პარტია „ჩვენი სამშობლოს" გარშემო რუსეთში მცხოვრები ლევან მამალაძე და მისი მეგობრები მოიაზრებიან. პირდაპირ ვიტყვი, ძაღლის თავი მოსკოვშია დამარხული. იქედან მოდის ყველაფერი, თორემ ზვიად ჩიტიშვილი მარტო რას მოიმოქმედებდა. ასეთი თაღლითი სჭირდებოდათ მოსკოვში ფულის გასათეთრებლად, თორემ პატრიოტი ადამიანი შემოწირულობებით იმდენ კეთილ საქმეს გააკეთებდა, ქვეყანას მართლა დაეტყობოდა — რუსეთის საზოგადოებასაც გააგებინებდა და ჩვენს საზოგადოებასაც, რომ ფული დაიხარჯა და საქმეც გაკეთდა. ახლა რა გამოვიდა — წლები დაიკარგა.

როგორც ჩანს, რუსეთში ამბობდა: პარტია შევქმენი, უამრავი წევრი და მომხრე მყავსო. გამოდიოდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით და ისე წარმოაჩენდა ყველაფერს, თითქოს ჩიტიშვილი იყო საქართველოს ერთადერთი ხსნა.

მან ოთხი წელი იბოგინა პოლიტიკოსის ამპლუაში. თურმე, როცა „ნაციონალური მოძრაობის" ოფისთან მიტინგს მართავდნენ, ჩიტიშვილი წინასწარ ფულს იხდიდა, გარეთ რომ არ გამოსულიყვნენ და მათთვის პასუხი არ გაეცათ. მერე აღმოჩნდა, ეს გარიგება ნაციონალებს შეუთავაზებიათ ჩიტიშვილისთვის და ისიც, რატომაც არა, დასთანხმებია მათ აფიორას საკუთარი ვითომ ძლევამოსილების სადემონსტრაციოდ.

ჩიტიშვილის და მისნაირების აფიორებს საქართველოში რუსეთიდან ლობირებენ **ხუბუტია, ებრალიძე** და მათი თანამზრახველები.

ახლა საუბარია, ფული მისცა „მრეწველებსო". ჩიტიშვილი თავის ფულს არავის მისცემდა. ის ხომ ცხადია, ვიღაცამ რუსეთიდან თანხები გამოატანა. ჩიტიშვილი კი გამოდის ტელევიზიებით და ამბობს: ფული ჩემი იყო, დამიბრუნონ, პარტია უნდა აღვადგინოო.

— ჩიტიშვილი ყველა გადაწყვეტილებას პარტიასთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად იღებდა და ესეც არის იმის დასტური, რომ ეს კაცი თავიდან ბოლომდე აფიორა იყო და მასთან გაჩერება პარტიაში წევრადაც არ ღირდა.

იგი ამომრჩევლებს მოუწოდებდა, ხმა მოგვეცითო და საარჩევნო უბნებზე წარმომადგენლებად სხვა პარტიების წევრები ჰყავდა ჩასმული. რომელიმე პარტია ამას გააკეთებს თუნდაც იმისთვის, რომ ხელფასი აიღოს?

ეს რაც გარეგნულად ჩანდა მისი ნამოქმედარიდან, თორემ დაწვრილებით, ალბათ, მისმა ძალიან ახლობლებმა იციან, მაგრამ იმათაც თუ აგებინებდა თავისი შავბნელი ზრახვების შესახებ, ეს კიდევ საკითხავია.

ეს კაცი არის თაღლითი. თავისი საქციელით ქვეყანას უტეხს სახელს და პერსპექტივასაც უბლოკავს. ქვეყნის ინტერესები მამოძრავებდა ყოველთვის და ახლაც ასე ვარო, ამბობს, მაგრამ უბრალო გულშემატკივრობა რომ მაინც გამოეჩინა, ახლა, თუნდაც, ელემენტარული მაინც ხომ იქნებოდა გაკეთებული?! ფაქტი ხომ უნდა არსებობდეს, რომელიც არ არსებობს?

კიდევ ვიმეორებ, ეს კაცი არის თაღლითი და თავისთვის რომ იყოს, კიდევ არა უშავს, ქვეყანას უშავებს და რუსეთთან მოლაპარაკებების პერსპექტივასაც სპობს თავისი ნამოქმედარით.

სამწუხარო ისაა, რომ რუსეთში მყოფი შეძლებული ქართველები ყველა თავის სასარგებლო თამაშს თამაშობს და შესაძლოა, ფული, რომელიც ჩიტიშვილის ხელში აღმოჩნდა, რუსული ძალებისგან იყოს.

უბედურება ის გახლავთ, რომ გინდა რუსეთი იყოს, გინდა სხვა რომელიმე ქვეყანა, იქედან ფულს ერთი და იგივე ბნელი ძალები აგზავნიან.

18 წელიწადი აკონტროლებდა რუსეთი კოდორის ხეობას, მაგრამ როგორც კი სომხური ფული ჩაიდო მის გასაყიდად, მაშინვე შევიდა იქ რუსული ჯარი. რუსეთის სახელით მანიპულირებენ და ვაჭრობენ არამზადები.

იგივე მოხდა ცხინვალის რეგიონშიც. წლების განმავლობაში იყო იქ დაძაბულობა, ფული გამოჩნდა თუ არა, დაიკარგა რეგიონი, საუბედუროდ, ახლა იმ ურთიერთობას ვეღარც რუსული ინტელიგენცია აღადგენს და ვეღარც ქართული. ეგაა სინამდვილე. ქართული ინტერესი და საქართველო არავის არ აღელვებს".

**ბოლოთქმა:**

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ვიღაც-ვიღაცებმა პოლიტიკა ფულის კეთების საშუალებად და ბიზნესად აქციეს.

პოლიტიკა ბინძური საქმეაო, — ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან ირწმუნებოდნენ მავანნი და მავანნი, თუმცა ამ „ბინძურ საქმეში" ისეთი ენთუზიაზმით იყვნენ თავად ჩართული და ისე ხვეტდნენ მილიონებს, უხერხულობა სულაც არ ეტყობოდათ...

აბსოლუტურად საპირისპიროს ამტკიცებდა, მაგალითად, ვაცლავ ჰაველი, რომელიც მიიჩნევდა, რომ პოლიტიკა მხოლოდ კრისტალურად სუფთა ადამიანებმა უნდა აკეთონ, მაგრამ სანამ საქართველოში ამას მიხვდებიან, მანამდე კიდევ ბევრი ჩიტიშვილი შემოფრთხიალდება ქართული პოლიტიკის სივრცეებში, რათა პოლიტიკის წყალობით ხეირი და სარგებელი ნახონ.

ქართულ პოლიტიკაში ჩიტიშვილი გამონაკლისი არაა. ჩვენდა სავალალოდ, სხვაც ბევრი გვყოლია და გვეყოლება ალბათ მისნაირი და რაც ყველაზე მეტად გულსატკენია, მათი უმრავლესობა, როგორც ამბობენ, რატომღაც რუსეთიდან შემოეხეტება ხოლმე უზალთუნებით გაძეძგილი ქისით.

გასაკვირი კიდევ ის არის, რომ ეს ქისები პოლიტიკოსებად წოდებული ისეთი ადამიანების ხელში აღმოჩნდება ხოლმე, რომლებსაც პოლიტიკური პროცესების შეცვლის არანაირი შანსი არ აქვთ.

მართლაც ასეთი არაინფორმირებულები არიან ეს რუსები, ამ ურეიტინგო და უპერსპექტივო პერსონებს რომ ურიგებენ ფულებს?

— არც არაინფორმირებულები არიან და არც გულუბრყვილოები, ფულს აკეთებენ, ფულს! გაღებული თანხის დიდ ნაწილს „ატკატით" იბრუნებენ უკან, — მითხრა ერთმა ამ საქმეში ჩახედულმა პირმა...

რაც უნდათ, ის უქნიათ, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, საქმოსნების და შემთხვევითი ადამიანების მოძალებით ისედაც დაჭაობებული ქართული პოლიტიკა კიდევ უფრო რომ ჭაობდება, ხოლო ქართველ ამომრჩეველს უფრო უძნელდება სწორი გადაწყვეტილების მიღება ამ აბლაბუდასავით გადახლართულ პოზიციებსა და იდეებში.

რაც შეეხება ზვიად ჩიტიშვილს, ბატონი ზვიადი ახლა თურმე პარტიების კარდაკარ დადის და ახალ სამსხვერპლოს ეძებს...

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118

# ღია წერილი მკვდარ რასას

## „თეთრო მამაკაცო შენ – დამარცხებული სასაცილო მონა ხარ, რომელსაც მთელი მსოფლიო დასცინის“



„დღეს, 2005 წელს, დაახლოებით სულ რაღაც ორ პროცენტს შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის – თეთრი ქალები. თეთრი რასა მკვდარია!!! მოკლული ებრაული კოალიციისგან, ქრისტიანული უნივერსალისტებისგან, ბუნების მატყუარა მოწინააღმდეგეებისგან, ოპორტუნისტი პოლიტიკური მეძავებისგან, მედია-მაგნატებისგან, განათლებული ინტელიგენციისგან, დოგმატი ნაციონალისტებისგან, სულელი ფემინისტებისგან, სხვადასხვა ნარჩენებისგან და უბრალოდ მხდლებისგან.

ცოცხლად დარჩენილი თეთრები უიმედოდ ინტეგრირებულები თანამედროვე საზოგადოებაში – ჩვენს მკვლელ მანქანაში, შეშინებულები, მოტყუებულები, გამორეცხილი ტვინებით, შერეულები არიან და სწრაფად იღრევიან ექვს მილიარ ფერად ცხოველებს შორის.

როგორც ეთნიკური ორგანიზმი გადარჩენისთვის მებრძოლი – თეთრი რასა უკვე აღარ არსებობს, ჩამქრალია. ის მცირეოდენნი ჩვენგანი, ვინც ეწინააღდეგება ჩვენი ერის გენოციდს, ცოცხალ უჯრედებს წავაგავთ მკვდარი ადამიანის სხეულზე.

უძლურები – კიდევ დააჯერონ თავიანთი მომხრეები ჩვენი რასის მოახლოებულ დაღუპვაზე, უმეტესობა ეგრეთწოდებული ''თეთრი ლიდერებისამ'' მიიღო ახალი პოლიტიკა უკანდახევის და კაპიტულაციის. ამჯერად ისინი რჩევას აძლევენ პატარა თეთრი გაერთიანებების ჩამოყალიბებაზე შიდა რაიონებში ან მხოლოდ აღზარდონ ბავშვები სავალდებულო განათლებით. ისინი მზად არიან გააკეთონ ყველაფერი – ოღონდაც გაექცნენ ფინალურ ბრძოლას.

მათ მშვენივრად მოეხსენებათ, რომ ჩვენი რასა ვერ გადარჩება ცალკეული თეთრი ნაციების არსებობის გარეშე. მათ იციან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცადოთ ათი წელიც კი. მათ იციან, რომ რამოდენიმე თეთრი ოჯახი არაფერია მილიარდობით ფერადებთან. მათ იციან, რომ ამერიკა თავისი რაკეტებით ნებისმიერს ქვეყანას დააჩოქებს მუხლებზე, რომელიც შეეცდება დარჩეს თეთრად. ისინი აცნობიერებენ, რომ მათი მხდალი რჩევა – მხოლოდ სამომავლო უკანდახევაა, რომლიდან დაბრუნებაც არ არსებობს. მათ იციან, რომ სრული რევოლუცია ან ანარქია, მსგავსი ბობ მეთიუზის და ტიმოთი მაკვეის – ერთადერთი გამოსავალია. მაგრამ ისინი ან არიან მხდლები ან გამყიდველები და მტრის აგენტები.

მათ იციან, რომ რევოლუციას მოიტანენ უუფლებო თეთრი მამაკაცები. და მაინც ისინი თავზე ხელს უსვამენ ქალებს და მათ „ტრადიციულ ოჯახებს“ და „მშვიდობიანი გადაწყვეტა“ მათთვის დოგმაა, იმიტომ რომ ისინი – ფემინისტები არიან.

მერწმუნეთ ჩემი სიტყვები – არ არის უპატივცემულობა არც თუ ისე ბევრი ჩვენი ერის ღირსეული მანდილოსნის მიმართ! იმიტომ, რომ თეთრი ქალის სილამაზე არასრდოს არ უნდა გაქრეს პლანეტიდან, მე ამისთვის ჩავერთე ამ ბრძოლაში.




მაგრამ, როგორც წესი, ქალები უფრო მეტად აფასებენ კონკრეტულ ადამიანებს და თავის ოჯახს, ვიდრე მთლიანად ჩვენი რასის გადარჩენას. ხოლო მებრძოლი, რომელიც ყოველდღიურად რისკავს საკუთარი სიცოცხლით და თავისუფლებით – მათი აზრით არაფერს კარგს არ აკეთებს.

იმისთვის, რომ ვამბობ სიმართლეს, უმეტესობა ქალების მსოფლიოში შემიძულებენ. ისინი აცხადებენ „ჩვენ გვჭირდება პასუხისმგებელი მამაკაცი“. მაგრამ მათი „პასუხისმგებლობა“ დღევანდელ პირობებში, სხვა არაფერია თუ არა ღალატი და მონობა. რა გაეწყობა წადით თქვენს ქარხნებში და ოფისებში, თქვენს მაღაზიებში სამუშაოებზე და იცხოვრეთ მონად მთელი თქვენი ცხოვრება. რეაგულარულად იხადეთ გადასახადები, რომლიდანაც ნახევარი ჩვენი ერის და რასის მკვლელობის ფინანსირებას მოხმარდება.

ხოლო მუშაობის შემდეგ მოდუნდით თქვენს ჩინურ ტანსაცმელში, დააგემოვნეთ კორეული კერძები, და არ დაგავიწყდეთ ჩართოთ თქვენი იაპონური ტელევიზორები – უყურეთ ფილმებს თუ როგორ ანცობენ თეთრი ქალბატონები ებრაელებთან, ზანგებთან და მექსიკელებთან. მგონი სხვებზე მეტად მეადვილება ხმამაღლა ვთქვა სიმართლე ქალებზე. მაინც გისოსებს მიღმა მე სულაც არ მაქ იმედი ქალის სიყვარულის. ასე, რომ დაე ვძულდე.

უხსოვარი დროიდან, ვისაც არაფერი ქონდა დასაკარგი, იბრძოდა ნადავლის დაუფლებისთვის, შურისძიებისთვის... და ქალის ხელში ჩაგდებისთვის. სხვა ჯილდო ან მოტივები არ არსებობს.

და ნუ შეეცდებით შეაშინოთ უკანასკნელი თეთრი მებრძოლები რეაქციული კლიშეებისგან: ყაჩაღობა, გაუპატიურება ან მკვლელობა. „კანონი“ – აი რას იყენებს ხელისუფლება, რათა დაიმონოს ისინი ვინც არ არიან მართველობაში.

თეთრო მამაკაცო შენ – დამარცხებული სასაცილო მონა ხარ, რომელზეც მთელი მსოფლიო იცინის, და რომელსაც სიძულვილით გიყენებს საკუთარი მეუღლე. ნუთუ გამოთქმა „ქალები და უმცირესობა“ არ არის შენთვის საგანგაშო სიგნალი? ეს ალიანსი მომართულია შენს წინააღმდეგ. ზუსტად შენ ხარ ნამდვილი უმცირესობა, რომელზეც ყველა მზადაა შედგეს ფეხებით. არჩევანი არ გაქვს დიდი: დათანხმდები შენს მონურ მდგომარეობას, შენი ერის დაღუპვას, რასის სიკვდილს და შენი ქალების დაკარგვას ან მოისმენ რობერტ ჯეი მეთიუზის სიტყვებს, როგორ წარმოთქვავს თავისი საფლავიდან:

„მიანდეთ თქვენი სულები თქვენს ღმერთებს, და დატენეთ თქვენი იარაღები, უტყვიოდ უკვე არ ჩაივლის. ჩვენ – დაწყევლილთა ლეგიონი ვართ, არმია უკვე მკვდრების...“

თუ ჩვენ არ გავხდებით აქამდე უხილავი არმია გაბრაზებული ბარბაროსების, განთავისუფლებულების შემწყნარებლობისგან, თანაგრძნობისგან, და არასაჭირო მორალისგან – ჩვენ განწირულები ვართ. ან რომელი მეთოდების გალანტურობა, როდესაც მტერი ერთი არაა, ხოლო ჩვენი ხელები შეკრულია.

ჩვენი არმია უნდა იყოს მსგავსად პალესტინელი ტერორისტებისთვითმკვლელებისა, მებრძოლების რომლებიც თავს წირავენ რათა დაიხსნან თავიანთი ქვეყანა მთელი პლანეტის ჭირისგან.

მხოლოდ ანარქიას და რევოლუციას შეუძლია დაბადოს ახალი თეთრი რასა. და თუკი ჩვენ წავაგებთ, დაე მტრებმა შიშით მოუყვნენ თავიანთ შთამომავლებს უკანასკნელი ვიკინგების განრისხებაზე.“ წერილის, უფრო ზუსტად მიმართვის ავტორი დევიდ ლეინი, რომლის ფიგურამ გაიბრწყინა და ცნობილი გახდა თეთრი რევოლუციური ორდენის **„მდუმარე საძმოს“** ერთ-ერთი დამაარსებლის სახელით.

1984-87 წლების სასამართლო პროცესებზე სხვადასხვა ბრალდებებით დევიდ ლეინი უკანონოდ იქნა გასამართლებული 190 წლით (!!!) თავისუფლების აღკვეთით. უკვე პატიმრობაში მყოფი ლეინი, როგორც „მდუმარე საძმოს'' უმრავლესობა გმირის, ციხის საკნიდან უწევს პროპაგანდირებას თეთრი რევოლუციის იდეას. თავის მეუღლე ქეითთან ერთად შექმნა გამოცემა **„14 Word Press''**, რათა მთელ მსოფლიოში გაევრცელებინა მართალი სიტყვა.

1979 წელს ლეინმა შექმნა „კუკლუქს-კლანის რაინდების'' დენვერის დანაყოფი. ორგანიზაცია.

„არიული ნაციების“ ერთ-ერთ კონფერენციაზე მისტერ ლეინი ხვდება **რობერტ მეთიუზს** „ნაციონალური ალიანსის“ ქარიზმატულ მხარდამჭერს, რომელსაც აღიზიანებდა იმდროინდელი პრო-თეთრი ორგანიზაციების უმოქმედობა. ბობ მეთიუზმა მის გარშემო სხვადასხვა პრო-თეთრი ოგანიზაციებიდან თანამოაზრეების შეგროვება დაიწყო. მისი მიზანი იყო პარტიზანული აჯანყება, რომლის ნაპერწკლებიც გააღვივებს რასობრივ რევოლუციას და გამოიწვევს თეთრი რასობრივი სახელმწიფოს შექმნას ა.შ.შ.-ს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. 22 სექტემბერს ბობ მეთიუზთან სახლში შეხვედროს დროს მეთალაინ ფოლზში, ვაშინგტონში, მან, დევიდ ლეინმა და კიდევ რვა მამაცმა ადამიანმა შექმნეს რევოლუციური ორგანიზაცია, სახელწოდებით „ბრუდერ შვაიგენ“ („მდუმარე საძმო“), რომელსაც დაკისრებული ქონდა შესულიყო თეთრი კაცობრიობის მომავლის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში სახელწოდებით – „ორდენი'' (წესრიგი).

ჯგუფი იზრდებოდა, მისი სტრატეგია შედგებოდა ექვსი ეტაპისგან აღწერილის თეთრი რასის ყველა ლოიალისტის საკრალურ წიგნში – ტერნერის დღიურები. რომლის ავტორიც გახლდათ რობერტ მეთიუზის აღმზრდელი, **უილიამ პირსი**. ორდენი მოქმედებდა ელვისებურად და სიმტკიცით. ჯგუფი წარმატებით ატარებდა სამხედრო ოპერაციებს მთლიანად ამერიკული მოძრაობის ფინანსურად მოსამარაგებლად. გაიგეს რა ბრუდერ შვაიგენზე, ვირთხებმა იგრძნეს რომ დაუსჯელობას ბოლო ეღებოდა. ორდენის გმირული ბრძოლის აპოგეა გახდა სიონისტური რადიოპროგრამების წამყვანის ებრაელი **ალან ბერგის** დასჯა. განაჩენი სისრულეში ბრიუს პირსმა მოიყვანა, ხოლო დევიდ ლეინი უკანდახევას ხელმძღვანელობდა.

სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ, 1984 წლის 9 ივლისს, 12 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, იუკაიში, კალიფორნიის შტატში დაჯავშნულ საბანკო მანქანას დაესხა თავს. ბანკირების ჯიბე 3 600 000 დოლარით დაეცა! მაშინ როდესაც საბრძოლო დანაყოფი მძარცველებზე თავდასხმას აგრძელებდა, დევიდი პასუხისმგებელი იყო ჯგუფებს შორის კავშირზე და ხელმძღვანელობდა ტაქტიკურ ოპერაციებს. როდესაც ფედერალური აგენტები მის კვალს დაადგნენ, ის ერთგული მეგობრების ფერმას შეეფარა, ვულვანთან, ვირჯინიის შტატში, ჩრდილოეთ კაროლინის საზღვართან.

წარმატებული ოპერაცია იუკაიში, გადამწყვეტი მომენტი გახდა **ბრუდერ შვაიგენის** ისტორიაში. ბობ მეთიუზის დასჯის ადგილას დატოვებულმა პისტოლეტმა, ფედერალები ორდენამდე მიიყვანა. გარდა ამისა **ტომ მარტინესი**, ორდენის ფილადელფიის ფილიალის წევრი, რომელიც ყალბი ბანკნოტების დამზადებისთვის დააკავეს, გატყდა და დათანხმდა გამხდარიყო გამყიდველი.

პირველი სასამართლო შედგა 1985 წლის აპრილში სიეტლში, ვაშინგტონში. დევიდ ლეინი ერთი თვით ადრე ავტოსადგომზე იქნა აყვანილი უინსტონ-სალემში, ჩრდილოეთ კაროლინაში. მისტერ ლეინს და ორდენის 22 სხვა წევრს ბრალად დაედოთ დარეკეტება და სხვა „დანაშაულები''. მანამდე სანამ მოისმენდა თავისი თავისუფლების აღკვეთის განაჩენს 40 წლით, მისტერ ლეინმა 15 წუთიანი სიტყვით მიმართა „მოსამართლეებს“ – „მე არ ვცნობ მთავრობას, რომლის

ერთადერთი მიზანიც ჩემი რასის განადგურება გახლავთ... მე გავეცი ყველაფერი რაც მქონდა და ყველაფერი რითიც ვარსებობ, რათა გამოვაღვიძო ჩემი ერი მომაკვდინებელი ძილისგან...''(ცალკე პროცესზე დევიდ ტეიტს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, ხოლო რიჩარდ სკუტარს, ორდენის უსაფრთხოების ხელმძღვანელს, რომელიც 1986 წლის ბოლოს დააკავეს 60 წლამდე პატიმრობა. ორი წლის შემდეგ 1987 წლის ოქტომბერში, დევიდი კვლავ მიიყვანეს სასამართლოზე – ამჯერად დენვერში, ბრიუს პირსთან, რიჩარდ სკუტართან და ჯეინ კრეიგთან (ერთადერთი ქალი, ბრალდებული ორდენში საქმიანობისთვის) ერთად. ბრალეულობა დამცინავი გახლდათ – ალან ბერგის სამოქალაქო უფლებების დარღვევა. დევიდი და ბრიუსი გასამართლებული იყვნენ 150 წლით (!). განაჩენის მოსმენის შემდეგ დევიდ ლეინმა მშვიდად აწია თავს ზემოთ ბლოკნოტი, რომელშიც სამი სიტყვა ჩაწერა: „**გახსოვდეთ უიდბი აილენდი**", მხედველობაში ჰქონდა რობერტ მეთიუზის უკანასკნელი ბრძოლა, როდესაც ერთმა თეთრმა მებრძოლმა, როგორც ნამდვილმა ვიკინგ-ბერსერკმა წინააღმდეგობა გაუწია ძალოვანი სტრუქტურის კბილებამდე შეიარაღებულ 800 წარმომადგენლის თავდასხმას. 1986 წლის 8 დეკემბერს, დარწმუნებულები მარტოხელა-გმირის დაუმარცხებლობაში, ფედერალებმა რობერტ მეთიუზი ცოცხლად დაწვეს... ციხემ ვერ გატეხა დევიდის სიმტკიცე, როგორც იმედოვნებდნენ სიონისტები საბრალდებო დასკვნამ მხოლოდ უპრეცედენტო სიმაღლეებამდე აიყვანა მისი ავტორიტეტი მოძრაობაში „სიკვდილი ან დატყვევება – ყველაზე საუკეთესო გზაა რევოლუციონერისთვის რათა მიაღწიოს უკვდავებას. ამ თვალსაზრისით მე მადლობა უნდა გადავუხადო ტირანებს, მატყუარებს და არაადამიანებს, ჩემს აქ ჩამსმელებს... „პატიმრობაში მყოფი, დევიდ ლეინი ცნობილი გახდა როგორც ნიჭიერი მწერალი, მუშაობდა თითქმის ყველა პრო-თეთრი ორგანიზაციის ბეჭვდით და ინტერნეტ გამოცემებისთვის.

„ამერიკა – თეთრი რასის მკვლელია – აცხადებს მწერალი – ჩემს საპირფარეშოსაც კი არ გავსვრიდი ამ წითელ-თეთრ-ლურჯი ჩვრით. რადგან შეუძლებელია ერთდროულად იყო თეთრიც და ამერიკელიც, ისევე როგორც შეუძლებელია შეაჩერო პლანეტების მოძრაობა. თუ თქვენ – არ ხართ გამძვინვარებული მოწინააღმდეგე ამერიკის, იმით რაც იყო და რაც არის ეხლა, მაშინ თქვენ – რასის მოღალატეები ხართ...".



იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახი

„დაცვა საკუთარი ჯიშის – ბუნების პირველი და უმთავრესი კანონია'' – ამბობს ის „**თეთრი გენოციდის მანიფესტში**".

თეთრი რასის მებრძოლებს გენიალური თოთხმეტი სიტყვით მოუწოდა დევიდ ლეინმა,– „ ჩვენ ვალდებული ვართ დავიცვათ ჩვენი ერის არსებობა და მომავალი თეთრი ბავშვებისთვის". „88 მცნებაში", „სტრატეგიაში" და სხვა სტატიებში დევიდ ლეინი გვიჩვენებს გზას, რომლითაც შესაძლებელია განთავისუფლების მიღწევა და თეთრი საზოგადოების შენება. რაც შეეხება რელიგიას სამწუხაროდ იგი თვლიდა, რომ ქრისტიანობა საზიანოა თეთრი ადამიანებისთვის, ვინაიდანაც მისი ფილოსოფია უარყოფს ბუნების კანონებს. ის ევროპულ წარმართობას თვლიდა თეთრების ორიგინალურ ჭეშმარიტ რელიგიად. საინტერესოა ლეინმა, იცოდა რომ კავკასიაა თეთრი ადამიანის სამშობლო?. ან, „თეთრი რასის გადამრჩენელი" იცნობდა რასოლოგიისა და ანთროპოლოგიის მამის ფრიდრიხ ბლუმენბახის ნაშრომებს? მან 1795-წელს საქართველოში აღმოჩენილი თავის ქალის შესწავლის შედეგად დაამტკიცა, რომ სწორედ კავკასია არის თეთრი ადამიანის სამშობლო. ბლუმენბახი წერდა: „კავკასიური ტიპის შესწავლისთვის მე სწორედ ეს ტიპი, კავკასიის მთის ტიპი, ავირჩიე იმიტომ, რომ მისი სამხრეთ ფერდობი ქმნის ადამიანების ყველაზე ლამაზ რასას ამ რასაში მე პირველ რიგში ვგულისხმობ ქართველებს, ყველა ფიზიოლოგიურ თვისებას სწორედ აქამდე მივყავართ. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვამტკიცოთ, რომ კავკასია არის თეთრი ადამიანის დაბადების ადგილი, თუკი ჩვენ სადმე უნდა განვათავსოთ კაცობრიობის ავტოქტონების (თავდაპირველი წევრების) საცხოვრებელი, ყველაზე დიდი ალბათობით ეს უნდა მოხდეს აქ, საქართველოში".

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30



# უშედეგო სამიტი

ევროპის ქვეყნების მოსახლეობის ყურადღება გასულ კვირას, რუსეთის გარდა, სადაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, ბრიუსელისკენ იყო მიპყრობილი. ევროკავშირის სამიტზე ერთ-ერთი ძირითადი საკითხი აფრიკა-ახლო აღმოსავლეთიდან მომწყდარი მიგრანტების ბედის განსაზღვრა იყო. თუმცა, რამდენიმე დღით ადრე ბრიუსელში არაოფიციალურად შეიკრიბნენ, როგორც ამბობენ, „მოთელვისთვის". არაოფიციალურ შეხვეარდა 16 ქვეყნის ლიდერი ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, უნგრეთმა და პოლონეთმა დემონსტრაციულად უარი განაცხადეს არაოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობაზე. სამიტი, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა, საერთო აზრს ვერ მიაღწიეს.

გასულ კვირას, ხუთშაბათს, ევროკავშირის სამიტი მართლაც დაძაბული გამოდგა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პირველ დღეს შეხვედრა 12 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ევროკავშირის ლიდერების განცხადებით, გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. კერძოდ, რუსეთისთვის დაწესებული სანქციები გააგრძელეს. მიგრანტებთან მიმართებაში კი გაურკვევლობაა. ევროკავშირის ქვეყნების სურვილია, გარანტორი, რომ თანხები მიზნობრივად გაიხარჯება?" — აცხადებს იაკობ კედმი. რუსეთის სენქციებზე იგივე კედმის განცხადებით, ამით რუსეთი პოლიტიკას არ შეცვლის. „...რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მათთვის სასიკეთოც აღმოჩნდაო", — ამბობს ექსპერტი.

პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ მიგრანტების საკითხმა, რომელიც პრობლემად იქცა ევროკავშირისთვის, შესაძლოა, წევრ ქვეყნებს შორის განხეთქილება გამოიწვიოს. ამაზე მეტყველებს იტალიის პრემიერ-მინისტრის ჯუზეპე კონტესა და საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის შელაპარაკება სამიტზე. კონტემ მოუწოდა, საფრანგეთმაც გაუღოს კარი მიგრანტებს. ამაზე გაღიზიანებულმა მაკრონმა უპასუხა: „...არავის ჭკუის სწავლება არ გვჭირდებაო". ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მსგავსი დაპირისპირების შედეგად, შესაძლოა, ევროკავშირის ქვეყნებმა ჩაკეტონ თავიანთი ქვეყნის საზღვრები, რითიც ეჭვქვეშ დადგება შენგენის არსებობა. ევროკავშირის სამიტის შემდეგ შემაჯამებელი ერთობლივი დოკუმენტი არ მიუღიათ, რაც დღემდე არ მომხდარა. ამიტომ მიმომხილველებმა „უშედეგო სამიტად" მონათლეს.

„სავაჭრო ომი" ევროკავშიკეთებულა. არავის უარყვია და არც დაუდასტურებია ჩვენი ამერიკელი კოლეგების ინფორმაცია. თუმცა ამან, ეჭვი, რომ ტრამპი ევროკავშირისადმი არაკეთილგანწყობილია, კიდევ უფრო გაამყარა.

როგორც დაგეგმილი იყო, გასულ ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. „...თქვენი ჩამოსვლა იმედს გვისახავს, რომ ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის გაუმჯობესდება. აქამდე სასურველი პოლიტიკური ვითარება არ იყო. ახლა სიტუაცია გამოსწორდა", — უთხრა შეხვედრის დაწყებამდე სტუმარს პუტინმა. თავის მხრივ ბოლტონმა ჟურნალისტებს განუცხადა: „...პრეზიდენტები ერთმანეთს კარგად იცნობენ. შარშან უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. მათ პირად შეხვედრაში უჩვეულო არაფერია. ეს უფრო გააუმჯობესებს ურთიერთობას ჩვენს ქვეყნებს შორის".

ჯონ ბოლტონის ვიზიტის მიზანი დონალდ ტრამპის და ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრის დროისა და ადგილის შეთანხმება



მესამე, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში გადანაწილდნენ მიგრანტები. ამის გარდა, ევროკავშირის გეგმაა, აზია-აფრიკის ქვეყნებში შეიქმნას მიგრანტების საფილტრაციო ბანაკები, რომლებსაც ზედამხედველობას პოლიცია გაუწევს. ამ მიზნით იმყოფებოდა ვიზიტით იტალიის პირველი ვიცე-პრემიერი და შსს-ის მინისტრი მატეო სალვინი ლიბიაში. იქაურმა ხელისუფლებამ უარი განაცხადა ქვეყანაში მიგრანტთა ბანაკების შექმნაზე. სალვინის ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა.

ევროკავშირის გეგმებმა მიგრანტებთან მიმართებაში კიდევ უფრო მეტი კრიტიკა დაიმსახურა ექსპერტების მხრიდან. მათთვის გაუგებარია, რომელი ქვეყნის პოლიციამ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა მიგრანტების ბანაკებში, ან რას ნიშნავს ფილტრაცია. ისრაელელი სამხედრო ექსპერტის იაკობ კედმის განცხადებით, ბანაკების შექმნისთვის გამოყოფილი მილიონობით თანხა არაოფიციალური, გაურკვეველი შეიარაღებული ფორმირებების ხელში აღმოჩნდება. „...ლიბიაში, სადაც არ არსებობს ერთიანი ხელისუფლება, ვისთვის აპირებენ ფულის მიცემას? ვინ იქნება რის დასასუსტებლად არის აგორებულიო, აცხადებენ ექსპერტები. „ევროკავშირის ქვეყნებიდან ეკონომიკურად ძლიერი სამია — გერმანია, დანია და ნიდერლანდები. დანარჩენები დოტაციის ხარჯზე ცხოვრობენ, ფაქტობრივად, გერმანელების, — აცხადებს კედმი. — ამას თუ დავუმატებთ სავაჭრო ომს, ქვეყანაში კიდევ უფრო გაუარესდება მდგომარეობა". ამასობაში შეირყა კანცლერ ანგელა მერკელის პოზიციები ქვეყნის შიგნი თ. მართალია, ევროკავშირის სამიტზე კონკრეტულად არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღიათ და ყველა საკვანძო საკითხი შემოდგომისთვის გადაიდო, მერკელის კოალიციური მთავრობის ბედი, ექსპერტების განცადებით, ჯერაც გაურკვეველია.

გასულ კვირას ამერიკულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აპრილში მაკრონის აშშ-ში ვიზიტისას პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შესთავაზა, საფრანგეთი გასულიყო ევროკავშირიდან. ამით სანქციები შეგიმსუბუქდებათო, უთქვამს ტრამპს. რამდენად მართალია პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, უცნობია. კომენტარები ჯერ არ გახლდათ. როგორც გადაწყდა, პრეზიდენტები ერთმანეთს 16 ივლისს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში შეხვდებიან. პრეზიდენტებამდე პირველი დიპლომატები — მაიკლ პომპეო და სერგეი ლავროვი ისაუბრებენ. სამიტი ერთდღიანი იქნება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ასეთ მოკლე დროში ყველა საკითხზე, რომლებიც მრავლადაა დაგროვილი, ვერ მოასწრებენ საუბარს და რაიმე კონკრეტულ შედეგს არ ელოდებიან. მათივე ვარაუდით, ჰელსინკში გამოჩნდება, როგორ განვითარდება აშშ-რუსეთის ურთიერთობა სამომავლოდ.

ჯერ მხოლოდ რუსეთ-აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრის თარიღი და დროა ცნობილი, მაგრამ ევროპელებს უკვე აშფოთებთ ორი ქვეყნის დაახლოება. ამის თაობაზე წერენ ევროპული გამოცემები. ამერიკული გამოცემები კი აღნიშნავენ, რომ ტრამპი დიპლომატიურ ენაზე ვერ შეძლებს პუტინს აჯობოსო. ამ დღეებში კი ამერიკელი სენატორები ბიზნესმენების თანხლებით უკვე ჩავიდნენ რუსეთში.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# მე რომ სიყვარული შემეძლოს...

ქეთას ბლოგი



ვინც მიცნობს, კარგად იცის, მწარეა ხოლმე ჩემი კალამი. არ ვინდობ ადამიანებს, რომლებიც სხვებს ჩაგრავენ, რომლებიც თავიანთ საქმეს არ ასრულებენ, რომლებიც ფიზიკურად ან მორალურად ანადგურებენ... ზოგჯერ, ზედმეტიც მომდის, ზოგჯერ, მიზანს ვცდები, შესაძლოა – მაგრამ, როცა სათქმელი მომაწვება – უკან დასახევ გზას ვერ ვიტოვებ.

დღეს ერთი ფიქრი ამეკვიატა – მე რას ვაკეთებ ჩემი ქვეყნისთვის, მე რა შემიძლია გავიღო ადამიანებისთვის...

სახლი არ ამიშენებია ჯერ, არც ხე დამირგავს, საღამოობით იმაზე ფიქრით არ ვიძინებ – დღის მანძილზე ვის რა ვარგე. ერთ კინკილა შვილს ვუზრდი ქვეყანას და ვწერ...

გზა მაინც გაუყვანელია, მაინც დაუსრულებელია გზა – არ შველის ჩემი წერა და ყვირილი, დაუგებელია ისევ გზა, ხან ვინ გადავარდება ამ გზიდან, ხან ვის აუცურდება ფეხი. მაინც არ ვდგები მოსახვევიდან, მაინც არ ვიკაპიწებ მკლავებს და







მაინც არ ვცდილობ საკუთარი ხელებით გზის დაგებას.

იმიტომ, რომ მე ჯერ არ გავარდნილვარ გზიდან, ჯერ არ ამცურებია ფეხი, ჯერ არ მოვსრიალებულვარ, ჯერ არ აღმოვჩენილვარ ხრამში...

ვზივარ სადღაც მოსახვევში და ვუყურებ, ვუყურებ და ვჩხუბობ დაუგებელი გზის გამო, ვბრალებ ყველას და ყველაფერს, მერე უსწორ-მასწორო გზიდან, გადაცვენილი ხალხის დროულად არ ამოყვანაში, არ გადარჩენაში ვანაშაულებ ისევ სხვებს და ისევ ვჩხუბობ – და თან ვზივარ, ვზივარ სადღაც მოსახვევში და შორიდან ვუყურებ...

მამა რომ გარდამეცვალა – მაშინ მივხვდი, რომ 50 წელი სიცოცხლისთვის ძალიან ცოტაა, მაშინ გავაცნობიერე, რას ნიშნავს დარჩე უმამოდ, თორემ, ცრემლს ჩამოვაგდებდი, შევწუხდებოდი, მაგრამ რეალურად რას გავიგებდი, რეალურად, როგორ მივხვდებოდი, რა არის უმამობა, სანამ მამა სახლში მელოდა...

მას შემდეგ, რაც მამა დამელუპა, იმდენ ადამიანში მიძებნია მამა, ვერ დავთვლი, რამდენიმემ დიდი სიტყვაც მითხრა – მამაშვილობა მითხრა – ვერ აასრულა, ვერ შემიყვარა შვილივით, ვერც მე შევიყვარე, ისე, როგორც საჭირო იყო, ამიტომაც მე ერთხელ დავკარგე მამა და არა იმდენჯერ, რამდენჯერაც მამაშვილობა მითხრეს.

**სიყვარული რომ შემეძლოს,** მე ახლა მგლოვიარე ქალბატონი ვიქნებოდი, ჩემი შვილები იქნებოდნენ, მდინარეში დამხრჩვალი ბავშვები, ჩემი შვილები იქნებოდნენ დანით დაჩეხილი ბავშვები...

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** უამრავი მშიერი ბავშვი მეყოლებოდა და რამდენიმე დაპურებული. ერთის დაპურება მიჭირს ახლა სათანადოდ, მაგრამ სიყვარული შემაძლებინებდა, კიდევ რამდენიმე დამეპურებინა, გამოვძებნიდი საშუალებას, ვნახავდი გამოსავალს.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ის ბავშვებიც ჩემი შვილები იქნებოდნენ, რომლებმაც დანა დაარტყეს ჩემს მეორე შვილს, არ ვიცი, დაარტყამდნენ, თუ არა, რომ სცოდნოდათ რომ ძმები არიან, რომ სცოდნოდათ, რომ ერთი ჯიშისა და ჯილაგისგან მოდიან, ან იქნებ მაინც დაერტყათ, ეგაც ვინ იცის...

მაგრამ, მე რომ მკვლელი შვილები მყოლოდა, სისხლიან ტანისამოსს ვერ გადავყრიდი, არ მეცლებოდა ერთი შვილის ხელის დასაფარებლად, როცა მეორეს მიწაში ვდებ, არ მექნებოდა დრო, ერთის გადასამალად, როცა მეორე სისხლისგან იცლება.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს** უამრავი და-ძმა მეყოლებოდა, ზოგი მოკლული, ზოგი დაჭერილი, ზოგი გადატაკებული, ზოგი დაბნეული... და ხო, ყველას დავეხმარებოდი. ყველას ვერ გავწვდებოდი? – ტყუილია, გავწვდებოდი – მე ხომ მარტო აღარ ვიქნებოდი, მე უამრავი და-ძმა მეყოლებოდა, ერთმანეთს დავეხმარებოდით ყველა...

**მე რომ სიყვარული შემეძლოს** – ჩემი ძმა იქნებოდა თავშოტყვიადახლილი, ნაწამები ტატუნაშვილი... ოთხოზორიაც ჩემი ძმა იქნებოდა... ყველას გვარის ჩამოთვლას ვერ მოვახერხებ, ბევრი შვილი და ძმა გვყავს ჩვენ წამებით მოკლული...

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ბებიები და ბაბუები მეყოლებოდა, ცხორების ჯაფით გადაღლილი ბებიები, ბაბუები დაკოჟრილი ხელებით. რას გაბედავდა სახელმწიფო წამლის ფული არ დაეფინანსებინა ჩემი ბებიისთვის, როგორ შეძლებდა სახელმწიფო ბოლომდე არ ემკურნალა ჩემი ბაბუისთვის, ფანჯრიდან გადმოიხედავდა მინისტრი და იმდენი და-ძმა ვიქნებოდით შეკრებილი, იმდენი შვილი ეყოლებოდა ბებიას და ბაბუას – ვის შეუძლია ამდენი შვილიშვილის პატრონები აშიმშილოს და სიღატაკეში აცხოვროს.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ქალაქი და სოფელი ერთნაირად მეყვარებოდა, ჩემი სოფლელების მოყვანილ პროდუქტს ვიყიდდი, არ ვიყიდდი უცხო ქვეყნის გაუგებარ და გენმოდიფიცირებულ პროდუქტს და შეუწყობდა მერე მთავრობა ქართულ მრეწველობას და მეურნეობას ხელს, რა გზა ექნებოდა სხვა.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ეკლესიაში მხოლოდ სალოცავად კი არ ვივლიდი, მამაოს – მხოლოდ სიტყვისთვის არ ვიტყოდი, მე რომ სიყვარული შევძლო, მამაო რომ მამასავით შევიყვარო, რამდენიმე მამაოს გარდა, მრევლი აღარ ეყოლებოდათ დანარჩენებს და იძულებულნი გახდებოდნენ, იმ მამაოებისთვის მიებაძათ, რომლებიც ჩვენზე ისე სწუხან, როგორც საკუთარ ოჯახზე.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ეკლესიიდან გამოსული, მარხვადაცული, ნაზიარები, სხვების გასაკითხად როგორ მოვიცლიდი, როგორ ჩავყრიდი წყალში ჩემს ზიარებას, სხვებზე საჭორაოდ, როგორ გავაქიაქებდი, როგორ დავდებდი სანეხვეზე.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** არც ტანისამოსი გამიკვირდებოდა, არც ბრენდი, არც ტუჩი და კანჭი, არც მანქანა და სახლი – ადამიანი და არაადამიანი გამიკვირდებოდა მხოლოდ.

მაგრამ, არ შემიძლია მე სიყვარული, უსიყვარულოდ ვცხოვრობ მე – ამიტომ, მოკლეს ბავშვებმა ბავშვები და ერთის მშობელმა სისხლიანი ტანისამოსი გადამალა, ერთის მშობელმა – ცოცხლები გადამალა, ერთის მშობელმა საქმე შეაკერინა – რომ იცოდეს, ვინმემ რომ უთხრას, იმ ერთის მშობელს, რომ ის მეორეც მისი შვილია, რომელიც მიწაში ჩავდეთ, ისიც მისი შვილია, რომელიც მარტო დაიცალა სისხლისგან – ასე ვერ მოიქცეოდა, ვერ აირჩევდა, ვინ გაეწირა და ვინ არა.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ჩვენ რომ სიყვარული შეგვეძლოს, შვილმოკლულ მამას ვინ გალანძღავდა, ყველანი შვილმოკლული მამები და დედები ვიქნებოდით, ვინ მოიცლიდა პოლიტიკოსისთვის, ვის დაუდგებოდა სახლებში გული, ვინ წავიდოდა სამსახურში – უფროსიან-უმცროსიანად ვიდგებოდით ერთად, მანამ, სანამ სამართალს არ მოგვცემდნენ.

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ჩვენ რომ სიყვარული შეგვეძლოს, ჩვენ ასე ცოტანი, ისე ბევრნი გამოვჩნდებოდით, იმდენნი ვიქნებოდით, მთელი დუნია ჩვენი იქნებოდა...

**მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ჩვენ რომ სიყვარული შეგვეძლოს, ბანაკებად არ დავიყოფოდით, მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად არ დავიყოფოდით, პარტიებად და უპარტიო პარტიებად არ დავიყოფოდით და ჩვენი ხმა იქნებოდა ერთიანი და ერთი.

ხო, ჩვენ ცოტანი ვართ და უფრო და უფრო ვცოტავდებით – ეს კიდევ ცალკე სასაუბროა, ეს კიდევ სხვა თემაა – მაგრამ, ცოტაც კი შეიძლება დიდი ძალა იყოს, ცოტამაც შეიძლება ერთ დღეს თავისი სათქმელი თქვას.

ერთი ბიჭია, 10-11 წლის იქნება, სოლოლაკში ცხოვრობს, ვიცი, რომ ოჯახი ჰყავს, მაგრამ ვერ დავადგინე კონკრეტულად ვინ პატრონობს, არ ამბობს, ყველაფერზე საუბრობს ამის გარდა, ეშინია, რომ წაიყვანენ და უპატრონო სახლში გამოამწყვდევენ. უმეტესად მათხოვრობს, სკოლაში არ დადის, არც არასოდეს უვლია. შემხვდა გუშინ, ბურახის აპარატთან იდგა, ვიღაც ბავშვებთან ერთად, იმ ბავშვებს ჰქონდათ ბურახის ფული, ამას არა და არ უსხამდნენ 30 თეთრიან ბურახს უფულოდ, მთხოვა: – ერთი ჭიქა შეგიძლია მიყიდო? ათასი მადლობა მითხრა. მომიბოდიშა კიდეც, გიცანი და იმიტომ გთხოვე, თორემ, ისე არ გთხოვდიო.

ვერ გადავწყვიტე, ვერ მივხვდი რა ვქნა, რა სჯობს მისთვის, იყოს იმ ოჯახში, სადაც უნდა ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ თავის სარჩენად პატარაობიდან მათხოვრობა უწევს, თუ სახელმწიფოს ვთხოვო და უპატრონო სახლში გადავაყვანინო, სადაც, იქნებ რამე ხელობა მაინც ასწავლონ...

ვერ გადავწყვიტე, რადგან არ მიყვარს ისე, როგორც საჭიროა, თორემ, რომ მიყვარდეს, როგორ დავტოვებდი ქუჩაში, პატარა ხელით ჩაბღუჯული ერთი ჭიქა ბურახით?

**არ შეგვიძლია ჩვენ სიყვარული,** თორემ, რას გაბედავს სახელმწიფო, პატარა ბავშვები აშიმშილოს და ამათხოვროს, რას გაბედავდა სახელმწიფო, რომ უპატრონო ბავშვთა სახლების ეშინოდეს ბავშვებს...

არ შეგვიძლია ჩვენ საკუთარი თავის სიყვარული, თორემ, რა დროს პოლიტიკა და პარტიებია, რა დროს დაპირისპირება და ბანაკებია, რა დროს პრემიები და დანამატებია – ვცოტავდებით, ყველა დღით და საღამოს ვცოტავდებით, ვინც ვრჩებით, მათ მიწა აღარ გვადარდებს ჩვენი, ხალხი აღარ გვადარდებს, მხოლოდ საკუთარი სახლი და საკუთარი ჭერი, მხოლოდ მანქანა და ფული, მხოლოდ კანჭი და ტუჩი...

არადა, **მე რომ სიყვარული შემეძლოს,** ჩვენ რომ სიყვარული შეგვეძლოს – წარმოდგენაც კი მიჭირს, რამხელა ძალა ვიქნებოდით, რამდენი ვიქნებოდით, რა კარგად ვიქნებოდით...



555 46 08 04

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983